# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 24 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 216 (6316)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# გილოცავთ 30-ე თბილისობას!







სალომე ზურაბიშვილი:

## ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებაში ჩაკლას იმედი და ბრძოლის მუხტი

2



3

ზურაბ აბაშიძე:

## „რუსეთის მხრიდან „პანკისური“ საფრთხის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება“

## ვინ რამდენი მილიონი გადაუხადა ოპოზიციის ლიდერებს და სად გაქრა 47 მილიონი დოლარი?

3



ლეონიდ კომაროვსკი:

## აშშ გაეროს წევრობა უნდა შეწყვიტოს...

5



## ბოროტ ჩანაფიქრს განხორციელება არ უწერია...

4



## სად მიდის საქართველოს მოქალაქის კუთვნილი 1000 დოლარი?

2



## ქართველი ანდერგრაუნდი

ცისის აგენტის ოდისეა

7

## თბილისი სამხედრო მხარდაჭერას მიიღებს

8

◎ შეკრება

# ყველა ერთად — პატრიარქის დასაცავად



**უკვე ერთი კვირაა ჟურნალ-გაზეთები, ქართული მედია და საზოგადოება პატრიარქის წინააღმდეგ აგორებულ ბინძურ კამპანიას ერთმნიშვნელოვნად გმობს. თქვენ წარმოიდგინეთ, პრეზიდენტის ადმინისტრაციამაც კი გააკეთა საპატრიარქოს მხარდამჭერი განცხადება.** ამის მიუხედავად, კმარელი თეა თუთბერიძის ქმედება და მის მიერ მოგვიანებით ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ვიდეორგოლები პირველი შემთხვევა არ არის. თუმცა ასე ღია დაპირისპირება პატრიარქთან, მთელს საპატრიარქოსთან და ქართველ მრევლთან დიდი ხანია აღარავის გაუბედავს და უკადრებია. ამან, ბუნებრივია საერთო აღშფოთება გამოიწვია და იმის აუცილებლობა განაპირობა, შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგას იმის დასაცავად, რაც ქართველების ეროვნულობას განსაზღვრავს.

ამიტომ შეიკრიბნენ გუშინ კინოს სახლში არა მარტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, არამედ ხელოვნების, ქართული კულტურის ცნობილი სახეები. მათ სურდათ საკუთარი პოზიციის გამოხატვა და როგორც თავად განაცხადეს, მათი ქმედება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

— წლების განმავლობაში ჩვენმა დუმილმა (აქა-იქ კანტიკუნტად გამოთქმული პროტესტი საკმარისი არ აღმოჩნდაძ გამოიწვია ის, რომ დღეს საქართველოში ერთადერთ ადამიანს — პატრიარქს, რომელსაც ჩვენი გადარჩენა შეუძლია, ასე ღიად უპირისპირდებიან, — ასეთი იყო შეკრებილთა საერთო პოზიცია.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:** — უკვე დიდი ხანია შეინიშნება თეა თუთბერიძის მსგავსი ადამიანების მხრიდან ისეთი მოქმედებები და განცხადებები, რასაც დაახლოებით ერთი კვირის წინათ ჰქონდა ადგილი. მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, მან რა თქვა, არამედ იმას, რომ ამ გამონათქვამებში ქვეყნის რღვევისთვის სახიფათო ტენდენცია შეინიშნება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და საჭიროებს ქმედითუნარიანი ნაბიჯების გადადგმას.

**ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი:** — ქართველების უმრავლესობას დღემდე ჰგონია, რომ ილია ბერბიჭაშვილმა მოკლა. არადა, ის იყო ერთი უგვანი ადამიანი, რომელსაც დაავალეს და მან მხოლოდ ტყვია ისროლა. ჩვენ უნდა გვეზიზღებოდეს და ვებრძოდეთ მათ, ვინც იდგა ამ ყველაფრის მიღმა და ვინც ახლა თეა თუთბერიძის უკან მოიაზრება. საქართველოს არა აქვს სხვა გზა. უნდა ამოვიღოთ ხმა, რადგან პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი, უნდა ვიბრძოლოთ ხვალინდელი დღისთვის.

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:** — ეს არ არის ერთჯერადი გამოხდომა, რამდენი ხანია ეს ყველაფერი დაიწყო და გრძელდება. ნუთუ ჩვენ პატრიარქის დაცვის თავი არ გვაქვს? ეს ხალხი ხომ სწორედ იმიტომ მოვიდა, რომ ის განეხორციელებინათ, რასაც ახლა აკეთებენ. დღეს ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი სულიერი მამისთვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ, რომელიც ყოველთვის მოთავე იყო მსგავსი ეროვნული საქმეებისა და ძალაც შესწევს.

პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ დაგმო. მათ ოფისებში გამართულ ბრიფინგებზე საკუთარი აზრი გამოხატეს და შეეცდებიან ამ შემთხვევაში მაინც გამონახონ ერთობლივი გზა პრობლემის გადასაწყვეტად.

**ანა წიწილაშვილი**

◎ სიტყვა რუმინეთიდან

# აშშ კვლავ უზრუნველყოფს რეგიონის უსაფრთხოებას

**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი საქართველოს შესახებ ამჯერად რუმინეთიდან საუბრობს.**

რუმინეთის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას, ჯო ბაიდენმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, უფრო მეტად ჩაერთონ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვაში სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

მისივე თქმით, ანტისარაკეტო გეგმების ცვილების მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ უზრუნველყოფს რეგიონის უსაფრთხოებას.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი, აღმოსავლეთ ევროპაში ვიზიტის ფარგლებში, პოლონეთსა და ჩეხეთს ეწვია. მისი ვიზიტის მიზანია დაარწმუნოს რეგიონის ქვეყნები, რომ ობამას ადმინისტრაცია რუსეთთან ისეთ გარიგებაზე არ წავა, რაც მათ უსაფრთხოებაზე გავლენას მოახდენს.

◎ აქტუალური ინტერვიუ

# სალომე ზურაბიშვილი: ხელისუფლება ცდილობს საზოგადოებაში ჩაკლას იმედი და ბრძოლის მუხტი

**„საქართველოს გზა“ პოლიტიკურ პარტიებს მიმართვას უგზავნის. მიმართვაში სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციონერ ლიდერებს წინადადებით მიმართავს, თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინოს თავისი პოლიტიკური დასკვნა სააკაშვილის 6-წლიანი მმართველობის შედეგების შესახებ.**

— 7 ნოემბერს, ჩვენს ერთობლივ და საჯარო შეხვედრაზე, რომელსაც დაესწრებიან პრესის, არასამთავრობო და საზოგადოების წარმომადგენლები, თითოეული პარტია წარმოადგენს საკუთარ დასკვნას. სრული ვერსია ამ დასკვნის სხვა პარტიების დასკვნასთან ერთად დაიბეჭდება და გავრცელდება მოსახლეობაში და უცხო ენაზე ითარგმნება უცხო პრესისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.



მიგვაჩნია, რომ ჩვენი ინიციატივა აქტუალურია და დროულიც, ვინაიდან ტალიავინის კომისიამ ცალსახად დაადანაშაულა საქართველოს მხარე 7 აგვისტოს ომის დაწყებაში და ცხინვალის დაბომბვაში. ამით საქართველოს სახელი ილახება და მის მიმართ ნდობა იკარგება. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ წარდგენილი დასკვნა სააკაშვილის და მისი გუნდის მიმართ იქნება ის წითელი ზღვარი, რომლითაც უნდა გავმიჯნოთ სააკაშვილი და მის მიერ ჩადენილი დანაშაული საქართველოსაგან. მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის მიმართ გამოტანილი დასკვნა იქნება ჩვენი სერიოზული პოლიტიკური ძალის გამომხატველი, რაც გამარჯვების იმედს შთაუნერგავს ხალხს და ძლიერ დარტყმას მიაყენებს სააკაშვილს და მის რეჟიმს. ამავე დროს დასკვნებში წარმოდგენილი იქნება პარტიის განსხვავებული შეხედულებები და პოლიტიკური ხედვა და ამით ჩვენ დავამტკიცებთ ერთდროულად ერთობასაც და ჩვენს მრავალფეროვნებას, საწინდარს ხვალინდელი თავისუფლების და დემოკრატიულობის, — ნათქვამია მიმართვაში.

ამასთან, ზურაბიშვილის შეფასებით, ხელისუფლება ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ოპოზიცია რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებულ ბლოკად დაიშალა.

— ეს მორიგი სიცრუეა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ჩაკლას იმედი და ბრძოლის მუხტი. გვინდა ვუთხრათ საზოგადოებას, რომ არ არსებობს ასეთი დაპირისპირება, არსებობს ერთი ბრძოლა, ერთი საერთო მიზანი, რომელზედაც შეთანხმებულია მთელი ოპოზიციური სპექტრი. ესაა არჩევნების და მხოლოდ არჩევნების გზით ქვეყნის განთავისუფლება სააკაშვილის ანტიდემოკრატიული რეჟიმისაგან. ჩვენი ბრძოლის ხაზი გადის სხვადასხვა ველზე და სხვადასხვა მიმართულებით. ცალკეულ პარტიებს გააჩნიათ თავისი ხედვა ბრძოლის ტაქტიკასა და ფორმებზე. ჩვენი ქმედებები შეიძლება იყოს როგორც კონსტრუქციული, ასევე რადიკალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს დაპირისპირებულობას. ეს არის ბრძოლის სხვადასხვა ფორმა, რომელიც ერთიანობაში მიმართულია ჩვენი საერთო მიზნის მისაღწევად, — აღნიშნულია მიმართვაში.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

◎ საქონლის სადგომით გამდიდრებული მთავრობა

# სად მიდის საქართველოს მოქალაქის კუთვნილი 1000 დოლარი?

**2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ 38 ქვეყანამ და 15 საერთაშორისო ინსტიტუტმა საქართველოს დახმარების სახით დაახლოებით 4,5 მილიარდი დოლარი აღუთქვა, რაც საქართველოს თითოეულ მაცხოვრებელზე დაახლოებით 1000 აშშ დოლარს უდრის.**

**ეს თანხა ბოლომდე ათვისებული არ არის, ფულის გამოყოფა სამ ფაზად დაიყო. I ფაზა (2008 წლის ოქტომბერი — 2009 წლის მარტიძ, როდესაც მილიარდნახევარი დოლარი გამოიყო , II ფაზა (2009 წლის მარტი — ოქტომბერიძ და III ფაზა 2010 წლის ოქტომბრამდე გასტანს.**

**ამერიკამ გაიღო მილიარდი დოლარი საქართველოსთვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა — 927 მილიონი, ევროკომისიამ — 630 მილიონი, მსოფლიო ბანკმა — 530 მილიონი, საერთაშორისო საფინანსო ბანკმა — 350 მლნ; ევროპის საინვესტიციო ბანკმა — 329მლნ; აზიის განვითარების ბანკმა — 300 მლნ; იამპონიამ — 200 მლნ; შვედეთმა — 52 მლნ; გერმანიამ — 44 მლნ; ნორვეგიამ — 40 მლნ; უკრაინამ — 24 მლნ; შვეიცარიამ — 19 მლნ.**

**შარშან, 22 ოქტომბერს ამ ცამეტმა უმსხვილესმა დონორმა საქართველოსთვის ომისშემდგომი დახმარების დაპირება დადო. ფინანსური დახმარებიდან 3 მილიარდი კრედიტია. ამ კრედიტის ნახევარი საქართველოს მთავრობის, ხოლო მეორე ნახევარი კერძო კომპანიების დასახმარებლად გამოიყო.**

**მას შემდეგ წელიწადი გავიდა. მაგრამ სად და როგორ გაიხარჯა ეს ფული — საზოგადოებისთვის კვლავ დიდ თავსატეხად რჩება.**

**სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ სწორედ ომისშემდეგ დაპირებული და გამოყოფილი ფინანსური დახმარებების ანგარიში, ანალიზი და რეკომენდაცია წარმოადგინა კოალიციამ „გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის“. ის შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციისაგან შედგება; „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების ცენტრი“, „კივიტას გეორგიკა“, „მწვანე ალტერნატივა“, საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ინდივიდუალური ექსპერტები.**

**ამბობენ, რომ საპროცენტო განაკვეთებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ყველა ვალი შეღავათიანია, თან მისი გადახდა 5-10 წლის შემდეგ დაიწყება. მაგრამ აქ უმთავრესია კრედიტების ეფექტიანობის საკითხი.**

**ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დიმიტრი გვინდაძემ მოხსენება გააკეთა დონორთა დაპირებული დახმარების შესახებ, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო პოზიტიურ ჭრილში განიხილა. მონიტორინგის ჯგუფმა კი პირიქით, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დარღვევა თუ ხარვეზი გამოავლინა.**

**უპირველესი ინტერესის სფეროს დევნილთა სახლები წარმოადგენს, რომელიც ომის შემდგომ უმოკლეს ვადაში დონორების მიერ აშენდა. როგორც ვიცით, მშენებლობას კოორდინაციას შსს უწევდა. მაგრამ მონიტორინგმა გამოავლინა, რომ აშკარად ირღვეოდა ტენდერის პროცესი (მაგალითად, იზრდებოდა ხელშეკრულების მიხედვით თავდაპირველად გათვალისწინებული თანხა, მაგრამ სამუშაოს მოცულობა იგივე რჩებოდაძ. შედეგად მივიღეთ სახლები, რომელთა ხარისხი მინიმალურ პირობებსაც კი ჯეროვნად ვერ აკმაყოფილებს.**



**ამ კონტექსტში ახსენა „ალიანსი საქართველოსთვის “ წევრმა მანანა ნაჭყებიამ საქონლის სადგომის აშენების საკითხი, რომელიც თურმე თავდაპირველ გეგმაში იყო, მაგრამ სადგომები არ აუშენებიათ. ოპოზიციონერის კითხვას საიას იურისტმა უპასუხა. აღმოჩნდა, რომ გორის რაიონის დაზარალებულ სოფლებში მართლაც უნდა აეშენებინათ ბოსლები, რომლის ღირებულება 640 ლარს შეადგენდა, რაც საერთო ჯამში 288 ათასი ლარი იყო. სადგომები არ აშენდა, მაგრამ თანხა კი უკლებლივ აუნაზღაურეს მშენებელ ორგანიზაციებს. ამდენად, შეიძლება თითქოს „მიზანმიმართულად“ გაიხარჯოს თანხა, მაგრამ ფაქტია, რომ ეფექტი არ არის.**

**კოალიციამ ვრცელ ანალიზთან ერთად რეკომენდაციებიც დადო. მან მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას მეტი ყურადღება დაუთმონ საქართველოს მთავრობის მიერ მოთხოვნილი თანხების დასაბუთებას. რადგან, ჯერ კიდევ არის გამოსაყოფი 2 მილიარდი აშშ დოლარი, რომელიც წლის ბოლომდე უნდა გაფორმდეს.**

**ეს დახმარება ძირითადად სახელმწიფოს ინფრასტრუქტურის განვითარებას მოახმარა. განსაკუთრებით ყბადაღებულ გზების მშენებლობას. თუმცა სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მონიტორინგის ჯგუფი ამტკიცებს, რომ ტენდერებს სახელმწიფო ატარებდა ყოველგვარი ნებართვის გარეშე, დონორთა განცხადების გამოქვეყნებამდეც კი. მაგალითად, გომბორითელავის სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობა საზეიმოდ გაიხსნა, თუმცა მსოფლიო ბანკს ამ დროს საბოლოოდ არ ჰქონდა გადაწყვეტილი გზის დაფინანსების საკითხი.**

**აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ გზის მშენებლობისთვის ინერტული მასალების მოპოვებამ შეიძლება ბუნებრივი კატასტროფა გამოიწვიოს...**

**კოალიციის ძალისხმევით შეიცვალა ვაზიანი-გომბორის გზის დიზაინი და ღირებულება 30 მილიონი ევროთი შემცირდა. მონიტორინგის დაწყების შემდეგ გადაიდო მნიშვნელოვანი პროექტი — ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, რომელსაც ბორჯომხარაგაულის ეროვნულ პარკზე უნდა გაევლო და რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბუნებრივ ნაკრძალს.**

**კოალიციამ კიდევ სხვა ბევრი დარღვევა გამოავლინა. წლის დასაწყისში გამოქვეყნებულმა ეკონომიკური პოლიტიკის ანგარიშმა განსაკუთრებით ოპოზიციური პარტიების ინტერესი გამოიწვია. არც ეს პრეზენტაცია იყო ნაკლებად მნიშვნელოვანი.**

**მონიტორინგი გრძელდება...**

**მაგრამ საინტერესოა, რამდენად აშინებს ეს კონტროლი სახელმწიფოს და დონორთა მიერ გამოყოფილ კრედიტებზე მონადირე ორგანოებს. როგორც კონფერენციაზე ითქვა, ყველაზე გახსნილი სახელმწიფო უწყება ფინანსთა სამინისტროა, თუმცა აღმოჩენილი დარღვევების (თუ დანაშაულის არაძ გამოვლენის გამო ფინანსთა მინისტრის მოადგილეს სულაც არ უგრძვნია თავი უხერხულად...**

**თეა მოსია**

№ 216. შაბათი, 24 ოქტომბერი, 2009 წელი.

სხვა გაზეთიდან

# ვინ რამდენი მილიონი გადაუხადა ოპოზიციის ლიდერებს და სად გაქრა 47 მილიონი დოლარი?



ოპოზიციის უმოქმედობის რეალური მიზეზი არც ზაფხულია და არც თვითლუსტრაცია. ოპოზიციას ფული არ ჰქონია. ყველა ოპოზიციური პარტია ერთად აღებული საკუთარი ფინანსებით ერთ კვირასაც კი ვერ გაქაჩავს გრანდიოზულ აქციებსო. საგარეო დაფინანსება კი შეუწყდათ. ის ხალხი, ვინც ხელისუფლების დამხობაში ფული ჩადო, ძალიან გულგატეხილია. ისინი აღარ ენდობიან იმ ლიდერებს, რომელთაც 9 აპრილს და სხვა დღეებში ათასობით კაცის ქუჩაში გამოყვანა კი შეძლო, მაგრამ მთავარ მიზანს ვერ მიაღწია – ხელისუფლების დამხობასა და პრორუსული ხელისუფლების მოყვანას.

რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში თავშეფარებული ყოფილი ოლიგარქები და შევარდნაძის დროინდელი ბიზნესმენები ფიქრობენ ვისზე დადონ ფსონი. საქართველოდან გაქცეული რევანშისტების არჩევანი მალე გაცხადდება. აი, რეალური მიზეზი ოპოზიციის ლიდერთა გაურკვევლობისა, რომელთა ერთი ნაწილი ასევე გაურკვევლად აცხადებდა რომ სავარაუდოდ, სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყებოდა საპროტესტო აქციები. ეს მაშინ, როცა 9 აპრილი ორი თვით ადრე დააანონსეს.

თუ ოპოზიცია გააქტიურდა და შს სამინისტროს მალღჩინოსნებიც ძალიან გააბრაზეს, მაშინ სავარაუდოდ, ქართულ ტელეარხებსა და ინტერნეტ-საიტებზე აუცილებლად გაჩნდება ახალი ფარული ჩანაწერები, ოდიოზურ რევანშისტულ ძალებთან, კანონიერ ქურდებთან რადიკალთა შეხვედრის შესახებ და თარგამაძე-გაჩეჩილაძე-გამყრელიძის საიდუმლო სერიებისგან განსხვავებით, ეს ფილმები „მუნჯი“ აღარ იქნება.

„დრონი.ჯი“-ს ინფორმაციით, სპეცსამსახურებს აქვთ ჩანაწერები ოპოზიციის ლიდერების მიერ თანხის მიღებისა და ამ ფულის გამოყენება-დანიშნულებასთან დაკავშირებით. ასევე ხელისუფლებას გააჩნია მტკიცებულება უცხოეთიდან ოპოზიციის დაფინანსებისა და საეჭვო საბანკო გადარიცხვების შესახებაც.

კერძოდ, ოფშორული ზონებიდან მილიონები სომხეთსა და აზერბაიჯანში ქართველების კუთვნილი ფირმების ანგარიშებზე გადარიცხულა. ამ ფირმების ერთ-ერთი დანიშნულება კი თანხების მიღება და ადრესატისთვის გადაცემა ყოფილა. შესაბამის უწყებებს გააჩნიათ იმის მტკიცებულებაც, თუ რა საშუალებებით ხდებოდა ეს ფული ოპოზიციის ლიდერთა ხელში.

სქემა გაშიფრულია, გაშიფრულია გადმომრიცხავი ფირმის მფლობელთა და მიმღებთა ვინაობაც. ოფშორული ზონიდან უკრაინაში მცხოვრები ერთი ცნობილი ქართველის პირად ანგარიშზე დაფიქსირებული ყოფილა 2 მილიონი დოლარის გადარიცხვის ფაქტიც, ასევე, ამავე პიროვნების ანგარიშზე ბრიტანული ბარკლაი ბანკიდან ორჯერ 2-2 მილიონის გადარიცხვის ფაქტიც. დადასტურებული ყოფილა ისიც, რომ ეს პიროვნება, თავის მხრივ, ოპოზიციის დამფინანსებელია და მის ანგარიშს სხვებიც იყენებდნენ ოპოზიციისთვის ფულის მისაწოდებლად.

ამ ფაქტების გამომზეურებას ხელისუფლება მალე აპირებს. შესაძლოა არანაირი კავშირი ამ გადმორიცხვებთან და მოვლენებთან არ ჰქონდეს, მაგრამ ბარკლაი ბანკი ის ბანკია, საიდანაც ბადრი პატარკაციშვილი ფულს თბილისში თავის ანგარიშებზე რიცხავდა. ამავე ბანკიდან გადაურიცხა პატარკაციშვილმა 105 000 დოლარი 7 ლეიბორისტს – თითოეულს 15 000 დოლარი. შალვა ნათელაშვილმა, მრავალგზის უარყოფის მიუხედავად, ბოლოს აღიარა, ეს ფული ბადრიმ, ისე როგორც მეგობარს, მე მაჩუქაო.

ახლა გთავაზობთ იმ ადამიანთა სიას, რომლებიც „დრონი.ჯი“-ს წყაროს მონაცემებით, რადიკალთა საგაზაფხულო-საზაფხულო აქციებს აფინანსებდნენ (თავად სპონსორებს კი, სავარაუდოდ, რუსული სპეცსამსახურები ამარაგებდნენ ფულით, რათა ოპოზიციის დაფინანსება საქართველოს მოქალაქეთა ხელით მომხდარიყო. ასე უფრო ჩრდილში იქნებოდა ფსბ-ოძ:

| | |
|---|---|
| 1. ასლან აბაშიძე | – 6 000 000 $ |
| 2. ბადრი მელაძე | – 2 000 000 $ |
| 3. ჯემალ გოგიტიძე | – 1 000 000 $ |
| 4. კახა თარგამაძე | – 4 000 000 $ |
| 5. შალვა ბრეუსი | – 2 000 000 $ |
| 6. ალექსანდრე სილაგაძე, „საქაერონავიგაციის“ ყოფილი დირექტორი, სსრკ-ს დროს სუკ-ის კაპიტანი | – 1 000 000 $ |
| 7. ბორის სალარიძე – საგზაო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე | – 1 000 000 $ |
| 8. ლევან მამალაძე | – 3 000 000 $ |
| 9. თემურ ბასილია | – 500 000 $ |
| 10. გოჩა ძასოხოვი | – 1 500 000 $ |
| 11. ალექსანდრე ებრალიძე | – 4 000 000 $ |
| 12. ზურაბ წერეთელი | – 7 000 000 $ |
| 13. ირაკლი ოქრუაშვილი | – 3 000 000 $ |
| 14. ზურაბ ლობჟანიძე („მადნეულის“ ყოფილი გენერალური დირექტორი) | – 1 000 000 $ |
| 15. მიხეილ ხუბუტია | – 7 000 000 $ |
| 16. ბონდო შალიკიანი | – 1 000 000 $ |
| 17. ლევან პირველი | – 2 000 000 $ |

ამ მონაცემებით ოპოზიციამ 47 მილიონი დოლარი გადაუყარა სპონსორებს წყალში, თუმცა ეს არასრული სიაა იმ დამფინანსებლებისა, რომლებიც ოპოზიციას ფულს აძლევდნენ. ამას გარდა, წყაროს მტკიცებით, დაახლოებით 80 მილიონი დოლარი დაიხარჯა აპრილიდან ივლისის ჩათვლით, თუმცა ამ 80 მილიონის ასავალ-დასავალს ხელისუფლებამ ვერ მიაკვლიაო.

სავარაუდოდ, ეს თანხები ფე-ეს-ბე-ს სპეცფონდებიდან რამდენიმე ქართული კომპანიის ანგარიშზეა გადმორიცხული ფიქტიური ბიზნესოპერაციებისთვის. სქემა ასეთია: შემკვეთი თანხას რიცხავს გარკვეული პროდუქციის შესაძენად. თანხას წინასწარ რიცხავს, მაგრამ პროდუქცია არ მიეწოდება, ეს ფული კი კონკრეტულ მისამართზე, ამ შემთხვევაში კი, ოპოზიციის ლიდერებთან მიდის.

ეს ის კომპანიები უნდა იყოს, რომელთაც რუსეთი ფლობს საქართველოში. რაც შეეხება თანხის გადარიცხვის ზუსტ გეგმას, ფე-ეს-ბე-ს სპეცფონდებიდან თანხა მის მიერ კონტროლირებად კომპანიაში ირიცხება რუსეთის ტერიტორიაზე, აქედან ასევე – ფე-ეს-ბე-ს შექმნილ კომპანიაში ოფშორულ ზონაში, შემდეგ კი საქართველოში, კვლავ რუსული სპეცსამსახურების კონტროლირებად კომპანიებში.

ლევან ჯავახიშვილი.

მედია-ჰოლდინგი „დრონი. ჯი“
12 ოქტომბერი

***რედაქციისგან:** ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა, ვინ დათვლის და, რაც მთავარია, ვინ გამოაქვეყნებს იმ ნუსხას, თუ ვინ რამდენი დადო „ვარდების რევოლუციის“ მოსახდენად?*

ხედვა

# რუსეთის მხრიდან „პანკისური“ საფრთხის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება



**ინტერვიუ რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის დირექტორთან, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორთან ზურაბ აბაშიძესთან.**

**– ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ ალექსანდრე ვერშბოუს ვიზიტს საქართველოში და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს?**

– მოგეხსენებათ, ბატონი ვერშბოუ ვიზიტის ფარგლებში ქართველ ექსპერტებსაც შეხვდა, რომელთა შორის მეც გახლდით. ბატონ ვერშბოუს ჯერ კიდევ ბრიუსელიდან ვიცნობ, როდესაც ის ამერიკის ელჩი იყო ნატოში, მე კი საქართველოს წარმოვადგენდი. კარგი თანამშრომლობა ჩამოგვიყალიბდა, რაც შემდეგ მოსკოვშიც გაგრძელდა, სადაც ორივეს ერთსა და იმავე დროს მოგვიწია ელჩობა. შეხვედრისას საუბარი ქვეყნის უსაფრთხოებასა და ამერიკა-საქართველოს პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს შეეხო. ბატონ ვერშბოუს სწორედ ქართველი ექსპერტების მოსაზრებები აინტერესებდა, ამდენად ის უფრო გვისმენდა, ვიდრე ლაპარაკობდა. ვიმსჯელეთ ქარტიით განსაზღვრული შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებისთვის შესაბამისი მექანიზმების ამოქმედებაზე. ბატონ ვერშბოუს საქართველოში მიმდინარე პროცესებზეც ვესაუბრეთ და არსებულ საფრთხეებსაც შევეხეთ.

**– როგორ შეიძლება, შეფასდეს რუსეთში ჰილარი კლინტონის ვიზიტის მიმდინარეობისას ქვეყნის უშიშროების ფედერალური სასამსახურის მიერ გაკეთებული განცხადება, თითქოს ქართული მხარე ალ-კაიდას ტერორისტების ჩეჩნეთში შესვლას უწყობს ხელს?**

– ასეთი ტიპის განცხადებები უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. გავიხსენოთ რუსეთის ანალოგიური განცხადებები 2000 წელს „პანკისის კრიზისთან“ დაკავშირებით, რამაც შემდგომში ძალიან უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენს ურთიერთობებზე. ყველას გვახსოვს, რომ მაშინ პანკისის ხეობაში დევნილებთან ერთად ბოევიკებიც მოხვდნენ, რის გამოც სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში თვისებრივი გაუარესება სწორედ აქედან იწყება. მაშინ რუსეთის ავიაციამ ბომბებიც კი ჩამოყარა პანკისის ხეობაში. რაც შეეხება ახალ განცხადებას ალ-კაიდას ტერორისტული ქსელის ხელშეწყობის თაობაზე, მოგეხსენებათ, რომ საქართველო ავღანეთში სამხედროებს სწორედ ალ-კაიდის წინააღმდეგ საბრძოლველად აგზავნის. აქედან გამომდინარე, ქართული მხარე აცნობიერებს, რაოდენ დიდი საფრთხეა საერთაშორისო ტერორიზმი ჩვენთვის, და საერთოდ რეგიონისთვის. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ბრალდება უსაფუძვლოა, მისი უყურადღებოდ დატოვება მაინც არ შეიძლება და გარკვეული ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

**– საგულისხმოა, რომ ეს განცხადება რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინის შემუშავების პერიოდს დაემთხვა, რომლის თანახმად, რუსეთი იტოვებს უფლებას, პრევენციულად გამოიყენოს ბირთვული იარაღი. როგორ ფიქრობთ, აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ამ მოტივით რუსეთმა ამჯერად პანკისის ხეობაში დაიწყოს სამხედრო ოპერაცია? აქვე მინდა, გკითხოთ, რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად?**

– ამ ბრალდებების სერია შესაძლებელია გაგრძელდეს. შესაბამისი განცხადებები რუსეთის უკვე ორმა ძალიან მაღალი თანამდებობის პირმა გააკეთა, თანაც ისეთ დროს, როდესაც მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი იმყოფებოდა. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, საქართველოს შესაბამის უწყებებსაც გაეკეთებინათ განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო მზად არის მიიღოს კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის კომისია, რათა ადგილზე შეამოწმდეს, არის თუ არა რაიმე საფუძველი ასეთი ბრალდებებისთვის. ამასთანავე, ვფიქრობ, ჩვენ ალბათ, კვლავ უნდა დავაყენოთ საკითხი რუსეთ-საქართველოს საზღვრის საერთაშორისო მონიტორინგის განახლების თაობაზე, რაც თავის დროზე ეუთოს ფორმატით ხდებოდა და რუსეთის ძალისხმევით შეწყდა. თუ რუსეთი მართლაც ფლობს ინფორმაციას საქართველოდან ალ-კაიდას ბოევიკების გადასვლის შესახებ და ადარდებს ეს საკითხი, ის არ უნდა იყოს წინააღმდეგი საზღვრის საერთაშორისო მონიტორინგისა.

იხ. 4 გვ.

ხედვა

# „რუსეთის მხრიდან „პანკისური“ საფრთხის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება“

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება კითხვას, შესაძლებელია თუ არა რუსეთმა სამხედრო ოპერაცია ამჯერად პანკისის ხეობაში დაიწყოს – როგორც უკვე მოგახსენეთ, ადრე ხომ ყველანი უკვე გავხდით ამის მოწმენი. აღარაფერს ვამბობ 2008 წლის აგვისტოზე. ასე რომ, გამორიცხული არაფერია. არც აღნიშნული განცხადებები გაკეთებულა სასიკეთოდ და მათ უკან რაღაც ჩანაფიქრია. მოსალოდნელი საფრთხეები რომ თავიდან ავიცილოთ, რეალური ქმედებებია საჭირო. უნდა ვეცადოთ, ამ რთული ვითარებიდან გარკვეული პოზიტივიც მივიღოთ, კერძოდ, საზღვრის მონაკვეთზე საერთაშორისო მონიტორინგის განახლება მაქვს მხედველობაში.

**– რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების „გადატვირთვის“ პროცესს როგორ შეაფასებთ? რამდენად სწორად მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი და ხომ არ შერბილდა ამის გათვალისწინებით საქართველოს მიმართ აშშ-ის პოზიციები?**

– თუ ორი დიდი ქვეყანა ერთმანეთში საერთო ენას გამონახავს, მათ შორის დაძაბულობა იკლებს და თანამშრომლობა იმატებს, ეს ჩვენთვისაც სასიკეთო იქნება. ამ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირება ხომ ჩვენს რეგიონზეც აისახება. შარშანდელი მოვლენებიც ნაწილობრივ სწორედ ამ დაპირისპირების ანარეკლი იყო. აქედან გამომდინარე, ამ „გადატვირთვით“ ჩვენც დაინტერესებულნი უნდა ვიყოთ. მინდა ვთქვა, რომ პირველი გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ მოკრძალებული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. აღსანიშნავია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უმაღლეს დონეზე აკეთებენ განცხადებებს, რომ „გადატვირთვა“ საქართველოს უსაფრთხოების ხარჯზე არ მოხდება. ეს კი პრინციპული მომენტია.

**– რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკას ამერიკაშიც ჰყავს მოწინააღმდეგეები, – ვგულისხმობ ნეოკონსერვატორებსა და რეალპოლიტიკის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებას... ამ მხრივ საყურადღებოა ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონის ცნობილი განცხადებაც იმის შესახებ, რომ „ობამას ადმინისტრაციის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება“.. თქვენი მონაცემებით, რა პროცესები მიმდინარეობს ამერიკის შიდა პოლიტიკაში?**

– ამჟამად აშშ-ში მიმდინარეობს დისკუსია რეალისტებს, ანუ პრაგმატული საგარეო პოლიტიკის მომხრეთა და ე.წ. ნეოკონსერვატორებს შორის, რომლებიც წინა პლანზე დემოკრატიის იდეალებს აყენებენ. ნეოკონსერვატორები მიიჩნევენ, რომ რეალპოლიტიკის გატარება იდეალების შეკვეცის ხარჯზე დაუშვებელია. ნეოკონსერვატორებსა და რეალპოლიტიკის წარმომადგენლებს შორის აზრთა სხვაობა არა ახალია, ეს იდეური დაპირისპირება ადმინისტრაციათა ცვლის შემდეგ ყოველთვის მწვავდება. საუბარია ძირითადად საგარეო პოლიტიკურ მიდგომებზე. მაგალითად, რეალისტები მიიჩნევენ, რომ რუსეთი არის ისეთი, როგორიც არის და მას სწორედ ამ მოცემულობიდან, ამ რეალობიდან გამომდინარე უნდა ესაუბრო. ბევრი თვლის, რომ ბუშის მმართველობის დროს დემოკრატიული ღირებულებები იყო ამერიკული ინტერესების წინა პლანზე და ზოგჯერ მათ დასაცავად საერთაშორისო ნორმებიც კი ირღვეოდა. ობამას ადმინისტრაციაში კი, როგორც მისი ოპონენტები მიიჩნევენ, რეალისტური მიდგომა მეტია, რის გამოც მსჯელობის საგანი გახდა თემა, ხომ არ მოხდება ახალი ადმინისტრაციის მიერ საგარეო პოლიტიკის გატარება ამერიკული იდეალების შეკვეცის ხარჯზე.

**– უკრაინაში 2010 წლის 17 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებია დაგეგმილი. როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები და რა შანსები აქვს მოქმედ პრეზიდენტს?**

– მართალი გითხრათ, ამ თვალსაზრისით მაინცდამაინც ოპტიმისტი არ ვარ. გამოკითხვების თანახმად, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე მოქმედ პრეზიდენტს შანსები მცირე აქვს. დაველოდოთ არჩევნებს. თუ კი ახალი პრეზიდენტი იქნება არჩეული, მაშინ, შესაძლებელია, ცვლილებები განხორციელდეს უკრაინის საგარეო ორიენტაციაშიც, რაც რუსეთს გარკვეულ სტიმულს მისცემს, საქართველოზე ზეწოლა გააძლიეროს.

**– საუბარი მიდის იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ იანუკოვიჩი მოვა ხელისუფლებაში, მან შესაძლოა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება მოახდინოს....**

– არა მგონია, ასეთი რამ მოხდეს. ვინც არ უნდა აირჩიონ უკრაინაში პრეზიდენტად, ზოგადად, რადიკალურ ცვლილებებს აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში არ ველი, მაგრამ უკრაინის საგარეო პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები, ალბათ, მოხდება და ამას უნდა ველოდოთ. რის შემდეგაც რუსეთი ალბათ კიდევ უფრო გააქტიურდება საქართველოს მიმართ. ამდენად, დასავლეთის მხარდაჭერასა და სოლიდარობას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

**ლევან ჭითანავა,**
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

ხალხის სახელით ვითხოვ სიტყვას!

# ბოროტ ჩანაფიქრს განხორციელება არ უწერია...

## გაბრაზებული ქართველი მანდილოსნის წერილი

***შარშან 3 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე პოლიტიკურად კარგა ხნის წინათ გაკოტრებულმა ევროინტეგრაციის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, არც მეტი, არც ნაკლები გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟი მოითხოვა, მას, ქართული პოლიტიკის კიდევ ერთმა „კუდიანმა ვარსკვლავმა“, პრემიერად წოდებულმა ლადო გურგენიძემ აუბა მხარი.***

***ცოცხალს ვერაფერი დააკლეს და მკვდარს მოთხრას უპირებენ? „დათვი საძაღლედ გახდაო და მისი საქმე წახდაო“.***

***ეს იყო შარშან. მერე კარგა ხნით მიყუჩდა ყველაფერი. ვიფიქრე, ალბათ, დაფიქრდნენ, გონს მოეგნენ და სტალინის „მოთხრა“ გადაიფიქრეს-მეთქი.***

მაგრამ, თურმე, სადა ხარ: ეს ჩვენი „ბრძენი“ პოლიტიკოსები, რომელთაც ქვეყნის საქმე „აწყობილი“ აქვთ, ახალი შეტევისთვის ემზადებოდნენ. ახალი, უფრო ძლიერი შეტევა! არ თმობენ, უკან არ იხევენ, რაკი პოლიტიკაში ჩაფლავდნენ. მეტი ჩაფლავება რაღაა, თავიანთი ქარაფშუტობით ქვეყანა ომში ჩააბეს და ზარალს ზარალი მიუმატეს. ასობით ახალგაზრდა უთანასწორო ბრძოლაში დაეცა, ქვეყნის ტერიტორიის უზარმაზარი ფართობი დაკარგეს, ათასეულები ლტოლვილებად აქციეს.

ვაი ჩვენი ბრალი, თორემ თვითონ კარგად მოითბეს ხელი. რომელი ერთი ვთქვა, გაჭირვება ყელში ამოგვივიდა. და აი, ასეთ დროს ხალხის ყურადღება სხვა რამეზე გადააქვთ. თითქოს მარტო სტალინი და მისი ქანდაკებაა საფიქრალ-საწუხარი. ძეგლს აიღებენ, ოკუპაციის მუზეუმში გადაიტანენ და, როგორც კი ეს მოხდება, იმ დღიდან ქვეყანა აივსება ყოვლის სიკეთით, ზეციდან წვიმასავით წამოვა ევროები და დოლარები, დაკარგულ-გასხვისებული ტერიტორიებიც დაგვიბრუნდება, გაცოცხლდებიან ომში დაღუპული ვაჟკაცები, ქვეყნის ტერიტორია გაივსება გადახვეწილ-გადაკარგული შვილებით და ა.შ.

და თუ ეს ყველაფერი მოჰყვება სტალინის ძეგლის დემონტაჟს, მაშინ რა გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ რომ არ მოხდება ასე?

ქვეყნის საქმე მაშინ წახდა, როცა სტალინი ყველას ხელწამოსაკრავი გახდა! ქვეყნის შენებაში სტალინი გიშლით ხელს?

რატომ გგონიათ, რომ მთელი საქართველო მხარს დაგიჭერთ? თუმცა ვინღაა საქართველოში, ქართველები ქვეყნიდან გააქციეთ, ვინც დარჩა, გონება გამოუშტერეთ, გაამათხოვრეთ, მაგრამ წარმოიდგინეთ, არც ასეთები დაგანებებენ ძეგლის აღებას. იმიტომ რომ ისინი არ გაუკუღმართებულან, ჯერ ისევ საღად აზროვნებენ, თქვენზე უკეთესად განსჯიან ტყუილ-მართალს.

რატომ არ გრცხვენიათ, რატომ ცოტათი მაინც არ გაიხედავთ წინ? კი დააბეჩავეთ ქვეყანა, მაგრამ იმასაც ხომ გრძნობთ, რომ უსუსურები, უნიათონი, ბოროტები, შურიანები და ღვარძლით აღსავსენი ხართ!

სტალინს შეცდომები ჰქონდა? შეცდომა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს მოსდის. თუნდაც ასე იყოს, ვინაა შეცდომებისგან დაზღვეული. მაგრამ თქვენ რას ქექავთ წარსულს, იმიტომ რომ თქვენი ბნელი საქმეები გადაფაროთ?

რაკი პოსტები გაინაღდეთ, ნუ ფიქრობთ, რომ ყველაფრის უფლება გაქვთ. ჩაიხედეთ თქვენს გულში, გადახედეთ თქვენს ნაშრომ-ნაღვაწს. მილიონები მოიხვეჭეთ სხვის ხარჯზე და დედამიწაც კი გეპატარავებათ. ქვეყანა რომ თქვენნაირების სამართავი გახდა, ამიტომაც დაგვექცა თავზე, ამიტომ ვართ გამათხოვრებულ-გატიალებული. თუმცა თქვენ ამას ვერ გრძნობთ. ცხოვრებას ვარდისფერი სათვალეებით უყურებთ. ძალიან ნუ გაიძაჩებით. მთელი მსოფლიო ხედავს, რა ბედოვლათებიც ხართ, იმის თავიც არა გაქვთ, რომ თქვენი უნიათობით შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს მოუაროთ.

სოროსის ძეგლისთვის გამოძებნეთ პრესტიჟული ქუჩა! ვარკეთილსა თუ გლდანში ხომ არ დადგამთ. არც ის გეკადრებათ, რომ დღემდე ბუშის ქუჩა მისი ძეგლის გარეშეა. თუ ძეგლებისთვის ადგილი არ გეყოფათ, აიღეთ და „გაასახლეთ“ დედაქალაქიდან ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის, სააკაძის და სხვათა ძეგლები, და თუ მაინც არ გეყოფათ ადგილი დედაქალაქში, პროვინციებიც ხომ თქვენს ხელშია, არაფერი დაშავდება, თუ ქუთაისში, ახალციხეში, ბორჯომში, ფოთსა თუ ბათუმში ქართველ მოღვაწეთა ძეგლებს აიღებთ და მათ ადგილს იულია ტიმოშენკოს, კონდოლიზა რაისის თუ სხვათა ძეგლებს დადგამთ.



სტალინის მშობლიური ქალაქის გორის ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. მე დავესწარი სტალინის დაბადების 70 წლისთავს, მისი დაბადების 100 წლისთავსაც გორში (1949-1979 წლებში). დავესწარი სტალინის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას 1949 წელს და მის გახსნასაც – 1952 წელს. და თქვენ გინდათ, მისი ხსოვნა ამოშანთოთ ხალხის გონებიდან? არაფერი გამოგივათ. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდება, საშვილიშვილოდ გადაეცემის“.

ისიც საკითხავია, სადაა ოკუპაციის მუზეუმი, სადაც უპირებთ სტალინის ძეგლს გამომწყვდევას? რა, თქვენი აშენებულია სტალინის სახლ-მუზეუმი, რომ ოკუპაციის მუზეუმად მონათლეთ?

სტალინი ჩვენია, თქვენ თქვენსას მიხედეთ. ასე რომ, თქვენს ბოროტ ჩანაფიქრს – ამოშანთოთ სტალინი ხალხის მეხსიერებიდან, განხორციელება არ უწერია!

**ზინა ლობჟანიძე,**
**საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი**

ინფორმაცია

## გამსახურდია პარლამენტში ბრუნდება

**პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტში ბრუნდება. ამის შესახებ მან გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.**

**კონსულტაციებიდან და პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, პარლამენტში შევიდე და დეპუტატის უფლებამოსილება აღვიდგინო, – აცხადებს გამსახურდია.**

**მისივე განმარტებით, ის საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნების შემდეგ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებების შემსწავლელი კომისიის მუშაობაშიც ჩაერთვება. ამასთან, გამსახურდია არ გამორიცხავს, რომ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფსაც შეუერთდეს.**

**– ვაპირებ, ასევე, უკანონო პატიმრების, პოლიტპატიმართა საკითხებსა და საზოგადოებისთვის საინტერესო სოციალურ თემებზე მიშვნელოვან აქტიურობას, – დასძენს გამსახურდია.**

**აღსანიშნავია, რომ მისივე თქმით, პარლამენტში დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებამდე მან შესაბამისი კონსულტაციები ევროპასა და ამერიკაში გამართა.**

**– სექტემბრის დასაწყისში ევროპასა და ამერიკაში ვიმყოფებოდი. მაინტერესებდა მათი აზრი პარლამენტში ჩემს შესაძლო დაბრუნებასთან დაკავშირებით. მინდოდა ამ საკითხზე ჩემი პარტიის აქტივისა და საპატრიარქოს წარმომადგენელთა დამოკიდებულებაც გამეგო. მსურდა ჩემი გადაწყვეტილება შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ადექვატური ყოფილიყო. არც ის მინდოდა საზოგადოებისთვის ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება მემცნო. ცუდია, როცა ადამიანი ჰოპს დაიძახებს და ვერ გადახტება, – აცხადებს გამსახურდია.**

ХО-ЕИВ-ЕНО

**ხედვა**

***ლეონიდ კომაროვსკი** ცნობილი რუსი სცენარისტი (60 -მდე ფილმი), ფილოლოგი, დრამატურგი, ჟურნალისტი (ოთხი ჟურნალისტური პრემია), პუბლიცისტი, იურისტი, პოლიტიკური კომენტატორი ამერიკაში 14 წლის წინათ ჩამოვიდა, ამჟამად ამერიკის მოქალაქეა.*

*ამ ადამიანს რამდენიმე წლის წინათ საფარმურატ ატაევიჩ ნიაზოვის, იგივე „თურქმენბაში დიდებულის“, იგივე „სერდარის“ (ბელადი) მკვლელობის ორგანიზებას აბრალებდნენ და ამ მნიშვნელოვანი კრიმინალური პუნქტის გარდა მისთვის წაყენებული ბრალდება სისხლის სამართლის კიდევ 13 სტატიას მოიცავდა. თურქმენეთში ორი დღის ჩასული იყო, მაგრამ 14 სახის „დანაშაულის“ დამსახურება და 5 თვით იქაური КГБ-ს ციხის ბინადრად გახდომაც „მოასწრო“. 1998 წლიდან თურქმენეთში ჟურნალისტური ვიზით აღარავის უშვებენ და დღესაც ამ ქვეყანაში არც ერთი აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტი არ მუშაობს. ასე ვთქვათ, 1937 წელი — თურქმენულად. არ გაუსამართლებიათ, თორემ სამუდამო პატიმრობის კანდიდატი იყო, ანდა სულაც უსახელოდ გაუჩინარდებოდა. აკი ამაყობდა კიდეც გამომძიებელი, ყოველდღე თურქმენეთის ციხეში ორი ადამიანი იღუპებაო. ჟურნალისტური ვიზის მაგივრად ბიზნესმენის ვიზა ჰქონდა, მაგრამ არც ამან უშველა. სხვა რამ არგუმენტმა უშველა. სამაგიეროდ, მოგვიანებით მისი საქმის მწარმოებელი გენერალური პროკურორი დაიჭირეს, არა ადამიანების უკანონო დაკავების მავნე ჩვევის გამო, არამედ თურქმენეთისთვის ტრივიალური ბრალდებით: საოჯახო ბიზნესი — ნარკოტიკებით ვაჭრობა. ეტყობა ვიღაცას — უფრო მეტად გენერალურს, გზა გადაუჭრა. სხვაგვარად ხელს ვერ ახლებდნენ...*

# ლეონიდ კომაროვსკი:

# აშშ გაეროს წევრობა უნდა შეწყვიტოს...

ჩვენი საუბარი, რომელიც ბარაკ ობამასაც გადაწვდა, იმით დაიწყო, რომ ბ-ნმა ვლადიმირმა სიამაყით მაცნობა: შარშან, აგვისტოს ომის დროს, ჩემმა შვილმა, რომელიც ამერიკის ჯარში მსახურობს, საქართველოში აშშ-დან დროულად გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთი ჩაიტანა და დევნილებს დაეხმარაო. დასძინა, რომ საქართველო ძალიან უყვარს, ქართულ ლიტერატურას კარგად იცნობს, არაერთხელ ყოფილა საქართველოში და იქ ბევრი მეგობარიც ჰყავს...



— ჩვენ შევეცდებით, რომ ჩვენი ინიციატივის შესახებ რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავაგებინოთ, — ამბობს იგი. — ცნობილია, რომ აშშ არ შედის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში. ამ კომიტეტის წევრებია: კუბა, რუსეთი და კიდევ რამდენიმე ისეთი ქვეყანა, სადაც ადამიანის უფლებების არსებობაზე საუბარიც კი ზედმეტია. ის, რომ ამერიკამ უარი თქვა ამ კომიტეტის წევრობაზე, მართლაც კარგი ნიშანია. ეს სტრუქტურა აბსოლუტურად პოლიტიზებული და ბიუროკრატულია. იქ მომუშავენი კი მოწოდებით ადამიანის უფლებების დამცველები კი არ არიან, არამედ ჩინოვნიკები, რომლებიც ამ კომიტეტში სამუშაოდ კი არ მიიწვიეს, არამედ დანიშნეს. გაეროს გენმდივანმა ნატალია ესტემიროვას მკვლელობის დროს შეშფოთება მხოლოდ დიპლომატიური ენით გამოხატა, მაგრამ მისი შეშფოთება არაფრის მაქნისია. რუსეთს მიუფურთხებია ბანგი მუნის სიტყვებსა და ნებისმიერი სხვა ადამიანის მოთხოვნებსა და უფლებებისთვის. განსაკუთრებით, მას მერე, რაც ობამა კრემლს ესტუმრა და რევერანსები გაუმართა. რუსეთი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მას სრული უფლება აქვს აკეთოს ის, რაც სურს.

**— გაეროს წევრობიდან ქვეყნის გარიცხვის პრეცედენტი არსებობს?**

— არა. წესდებაში როგორც ქვეყის მიღების, ასევე გარიცხვის პირობებიცაა დაფიქსირებული, მაგრამ არავინ გარიცხავს რუსეთს, მით უმეტეს, როცა იგი უშიშროების წევრი ქვეყანაა. ამ კონტექსტში გაეროს ქმედითუნარიანობაზე საუბარი აბსოლუტურად ზედმეტია.

**— ხომ არ გახდა გაერო მხოლოდ ჰუმანიტარული, სასურსათო დახმარების განმანაწილებელ სააგენტოდ? საშუალო და პატარა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ სურსათის, ტანსაცმლისა და მედიკამენტების დარიგება და, სხვათა შორის, არც თუ ურიგოდ...**

— გაერო დიდი ხანია ვერ აგვარებს კონფლიქტურ სიტუაციებს, ჰუმანიტარული დახმარების განაწილებას კი „სოვეტსკი ჟეკის“ დონეზე წყვეტს. თავად ჰუმანიტარული დახმარების პრინციპმაც თავისი თავი უკვე ამოწურა. სწორედ ამ ჰუმანიტარული დახმარების გამოა რომ გაერომ მთელი ერები ლამის „საშინაო ცხოველებად“ გადააქცია: შინაურ კატად, რომელსაც აჭმევ, ინახავ და ისიც მარჩენალს ხანდახან თუ მიელაქუცება. ნამდვილი ჰუმანიტარული დახმარება კი ისაა, როცა დასახმარებელს წარმოებას უქმნი, ტექნოლოგიებს გადასცემ, რათა ადამიანებმა იმუშაონ და ფული თავად იშოვონ. გაერომ კი მავნე წესი დაამკვიდრა, როცა იგი აფრიკის მშიერ ხალხსა და პალესტინელებს მხოლოდ კვებავს და შრომას არ ასწავლის. გაერომ ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ მუშაობა თავისი მისიის გასაუმჯობესებლად ეზარება. მას მთელი მსოფლიოდან საკვების შეგროვება უფრო ეადვილება, ვიდრე დასახმარებელ ქვეყანაში წარმოების სერიოზული ორგანიზება, რომელიც, ბუნებრივია, გაცილებით რთულ საქმეს წარმოადგენს.

**— სასურსათო პროგრამების გარდა კონფლიქტების მოსაგვარებლად გაეროს პოლიციური შენაერთებიც ხომ ჰყავს?**

—ამ პოლიციურმა შენაერთებმა არაერთხელ გაუწიეს თავის თავს გვარიანი დისკრედიტაცია, თანაც უკვე ტრადიციად იქცა გაეროში კორუფციული მხილებები. მე ბოლო შემთხვევასაც ვერ დაგისახელებთ, რადგან ამგვარი კორუფციული სკანდალები გაეროს რუტინად იქცა. რაც შეეხება პოლიციურ ძალებს: მედია სავსეა სამარცხვინო ფაქტებით: „პოლიციელებმა“ ხან ქალები გააუპატიურეს, ხან რაღაც მოიპარეს, ხან ერთმანეთს დაერივნენ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დღევანდელ მსოფლიოში პოლიტკორექტულობა უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ის, რის გამოც იგი არსებობს. ეს პოლიტკორექტულობა კი აიძულებს ამ პოლიციურ შენაერთში ადამიანები არა გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე შეირჩნენ, არამედ ეროვნული კვოტით. მაგალითად, 150 ადამიანი — ზიმბაბვედან, 110 — ალჟირიდან, 100 — ახალი ზელანდიიდან, 170 — რუსეთიდან და ა.შ. კონფლიქტის ტერიტორიაზე ისინი იგზავნებიან არა იმიტომ, რომ მათ ასწავლეს, გაწვრთნეს, იციან რა და როგორ უნდა აკეთონ, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ დანიშნეს და თანაც ნაციონალური ნიშნით. პოლიციური ძალები უნდა იყოს არა მრავალნაციონალური, არამედ ზენაციონალური და მისი შემადგენლობა ისე უნდა შეირჩეს, როგორც ადრე „ფრანგული ლეგიონისთვის“ არჩევდნენ მებრძოლებს. ამიტომაცაა ამ ძალების ოპერაციები წარუმატებელი. „პოლიციელები“ დანიშნულების ადგილას კი ჩადიან და როგორც კი იარაღს დაიკავებენ, უაზროდ ისვრიან. გამოდის, რომ მშვიდობიან მოსახლეობას ებრძვიან, კლავენ უდანაშაულოებს და არა ბანდიტებს. ანუ თავის ფუნქციას არ და ვერ ასრულებენ.



**— ეუთოს ოპერაციებიც დიდი სარგებლობის მომტანი არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში — ჩეჩნეთში მისი „მოღვაწეობის“ კვალი არსად ჩანს, ამას საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობაც შეიძლება დავამატოთ. როგორ ფიქრობთ, თუ თქვენს ინიციატივას გაეროს „გაბრძანებასთან“ დაკავშირებით დიდი რეზონანსი მოჰყვა, სავარაუდოა ეუთოსაც იგივე მოუწყონ?**

— ეუთოს თავისი მისიის შესრულება კი არ ძალუძს, არამედ — არ უნდა. როცა თურქმენეთის ციხიდან გამათავისუფლეს, მე მთელს მსოფლიოში აქტიურად ვმოგზაურობდი, გამოვდიოდი და ვყვებოდი იმის შესახებ, თუ რა ხდება იქ. ეუთოში ორჯერ გამოვედი, რუსეთის დუმაშიც კი... მაგრამ უშედეგოდ, იმიტომ, რომ ეს არავის აინტერესებს. ეუთომ გამოაქვეყნა ანგარიში თურქმენეთის შესახებ (იმ პერიოდის, როცა მე ციხეში ვიჯექი), იგი ფრანგმა პროფესორმა შეადგინა, რომელმაც თავის ტექსტს შესანიშნავი ანალიზი დაურთო, მაგრამ მას არც არავინ უსმენდა, რადგან ეს თემა არავის აინტერესებდა. ეუთოს დიპლომატების მიზანია გადასახადების გადამხდელების ხარჯზე თავის პენსიამდე მშვიდობიანად მიაღწიონ. როგორც კი ხმის ამოღების შანსი ჩნდება, მაშინვე ჩნდება იმის საშიშროება, რომ ასეთ „მყვირალებს“ ქვეყნიდან გააძევებენ. თურქმენეთში იყო ქალი დიპლომატი, რომელმაც აქტიური პოზიცია დაიკავა. ის ქვეყნიდან მაშინვე გაუშვეს და სხვა დანიშნეს. ასეთ მისიებში ცდილობენ, რომ მეტი თურქმენი და თანაც თურქმენბაშის ნათესავი ამუშაონ, რომლის მართვა ადგილობრივი КГБ-დან უფრო ადვილია, ვიდრე — უცხოელის. ამიტომ იმისთვის, რომ ცხოვრება არ გაირთულონ, უცხოელები ყველაფერზე თანახმა არიან. ვიმეორებ, რომ ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც თავის ფუნქციას არ ასრულებენ, დასახურია. ამ სტრუქტურებში, როგორც წესი, უშვებენ იმ ჩინოვნიკებს, რომლებიც ჩიხურ სიტუაციას ქმნიან და არ ასრულებენ იმას, რისთვისაც ისინი გადასახადების გადამხდელმა დაიქირავა. სამწუხაროდ, ამერიკაშიც იგივე სიტუაციაა. მაგრამ ჩვენთან, საბედნიეროდ, ამის საპირწონედ თავისუფალი მედია არსებობს. მედია, როგორც კი ასეთ ჩინოვნიკს „დაიჭერს“, პირდაპირი მნიშვნელობით ჩაწიხლავს ისე, როგორადაც შეუძლია. რუსეთში კი ასეთი რამ არ ხდება. რასაკვირველია, ამერიკული მედია სენსაციებს დასდევს, მაგრამ ამ სენსაციების საშუალებით, იგი, ფაქტობრივად, ჩინოვნიკს ან აიძულებს გააკეთოს რაც საჭიროა, ანდა ღრმად ჩამარხავს. თავისუფალი მედიის დანიშნულება სწორედ ესაა.

იხ. 9 გვ.

**ინფორმაცია**

## კუდ-ის თანამშრომელი ოპოზიციონერ მასწავლებლებს დასდევს

**შს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელი შალვა იმერლიშვილი გურჯაანის რაიონში, საჯარო სკოლების დირექტორებზე ზეწოლას ახდენს.**

**როგორც რამდენიმე სკოლის დირექტორმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, შალვა იმერლიშვილმა მათ კონკრეტული მასწავლებლების სკოლიდან გაშვება მოსთხოვა. — იმერლიშვილი უშიშროების თანამშრომლად გაგვეცნო და რამდენიმე მასწავლებლის სკოლიდან გაშვება მოგვთხოვა. გვითხრა, რომ მათი ოჯახის წევრები ოპოზიციის მხარდამჭერები არიან და ამის გამო უნდა დასაჯონ. ზუსტად იგივე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ლალი გაბიტაშვილმაც მოგვთხოვა, — განაცხადეს სკოლის დირექტორებმა.**

**ამ განცხადებებს კატეგორიულად უარყოფს გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ლალი გაბიტაშვილი. რაც შეეხება კუდ-ის თანამშრომელს შალვა იმერლიშვილს, ის კომენტარს არ აკეთებს.**

## სეპარატისტების დამოუკიდებლობის აღიარებას ეკვადორიც აპირებს

**ეკვადორის რესპუბლიკა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს განიხილავს. ამის შესახებ „რეგნუმი“ ეკვადორის კანცლერზე ფანდერ ფალკონზე დაყრდნობით იუწყება.**

**მისი განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია ეკვადორის პრეზიდენტის რაფაელ კორეას მოსკოვში ვიზიტის დროს განხილული იქნება თუ არა აღნიშნული საკითხი.**

**ეკვადორის პრეზიდენტი მოსკოვს 29-30 ოქტომბერს ეწვევა და შეხვედრას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან გამართავს.**

## რისთვის დააკავეს ცხადაძე?

**სამართალდამცავებმა მკლავჭიდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ზაურ ცხადაძე დააკავეს. მკლავჭიდის ფედერაციის ხელმძღვანელის სოსო ჯაჭვლიანის ინფორმაციით, ცხადაძე ფინანსურ დანაშაულთან დაკავშირებით ფინანსურმა პოლიციამ დააკავა. სხვა დეტალები მისთვის უცნობია.**

**ზაურ ცხადაძე 21 ოქტომბერს თბილისში, ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურთან დააკავეს.**

## დასავლეთ საქართველოს პეროსტრატეები შემოესივნენ

**რაჭისა და სვანეთის შემდეგ ხანძარი გურიის ტყეშიც გაჩნდა.**

**არსებული ინფორმაციით, ცეცხლი ჩოხატაურში, სოფელ ზემო სურების ტყეს გაუჩნდა და 40 ჰექტარზე გავრცელდა.**

**ცეცხლის ძლიერი კერა რამდენიმე მიუვალ ადგილას იყო გაჩენილი, რის გამოც მისი ლოკალიზება ვერ ხერხდებოდა, თუმცა ამ დროისთვის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. მასში რამდენიმე სტრუქტურის ასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.**

**ცეცხლის გაჩენის მიზეზები ჯერჯერობით ვერ სახელდება. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.**

**რაც შეეხება რაჭას, სპეციალისტები ხანძრის სრულ ლიკვიდაციას დღეს ვარაუდობენ.**

## ამერიკელმა მსახიობმა „ღორის გრიპი“ შემოგვიტანა

**საქართველოში ე. წ. „ღორის გრიპით“ კიდევ ორი შემთხვევა დაფიქსირდა. დაინფიცირებულია 17 წლის ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც თბილისში შვედეთიდან დაბრუნდა.**

**ექიმების თქმით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის მკურნალობის კურსს სახლში გადის.**

**რაც შეეხება მეორე შემთხვევას იგივე დიაგნოზი თბილისში ჩამოსულ ამერიკელ ქალბატონს დაუდგინდა, რომელიც იმ გადამღები ჯგუფის წევრი იყო, რომელიც საქართველოში ფილმის გადასაღებად იმყოფებოდა. მან ქვეყანა უკვე დატოვა.**

**სულ საქართველოში ვირუსის უკვე 25 შემთხვევაა გამოვლენილი.**

**როგორც ცნობილია, ნოემბრის დასაწყისში საქართველო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციიდან ამ ვირუსის გარკვეული რაოდენობის ვაქცინას მიიღებს, რომელიც მოსახლეობას უფასოდ გაუკეთდება.**

„ექსპრესნიუსი“ და ხი-ეიჩ-ენი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №155

# „ბინდისფერია სოფელი“...

მე-13 საუკუნის საქართველოს ისტორიული ქრონიკა... **გრიგოლ აბაშიძის** ტრილოგიის ლიტერატურული პერსონაჟი პოეტი თურმან თორელი სასიკვდილოდ დაჭრილ მეფეს – ლაშა გიორგის ხალხურ ლექსს „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“ სევდიან ჰანგზე უმღერის. მერე საკუთარი სიტყვებით აგრძელებს:

**„იმასაც მოკლედ უვლია,**
**ვინც გრძლად გვეგონა იარა,**
**შუქს ბნელი შესჭამს, ვარდს ჭია,**
**კაცის გულს – ჯავრის იარა,**
**მოვა სიკვდილი უჩინო,**
**ერთ წამში აგვყრის იარაღს,**
**ჩვენ რას წავიღებთ ქვეყნიდან,**
**სხვას არა წაუღია რა“...**

ეს უკანასკნელი სტრიქონები „ხალხური პოეზიის“ ტომეულებში, როგორც ანონიმი ავტორის ლექსი შევიდა. სინამდვილეში, როგორც თამაზ ნატროშვილი განმარტავს, „ეს ლექსი არც ხალხურია და არც არაარსებული თურმან თორელისა. გრიგოლ აბაშიძეა მისი ავტორი“. ასე უნებურად დაირღვა მწერლის საავტორო უფლება, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამოუწურავი აღმოჩნდა.

გრიგოლ აბაშიძის საწერი მაგიდის უჯრაში ოჯახის წევრებმა მოგონებების (სამწუხაროდ, დაუსრულებელის), ხელნაწერი რვეული იპოვეს. **2009 წლის 19 ოქტომბერს კი იგი უკვე დასტამბული, ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საზოგადოებას წარუდგინა გამომცემლობა „პეგასმა“. იქვე გამოიფინა მწერლის თხზულებათა გამოცემები, ავტოგრაფები და უნიკალური ფოტომასალა.**

საზოგადოებას ალბათ დიდხანს ემახსოვრება ეს საღამო. შესვლისთანავე ესთეტიზირებულ გარემოცვაში, თითქოს რაღაც გამორჩეულ სამყაროში მოვხვდით. იქ იყო ულამაზესი, განწყობის შემქმნელი გარემო და სტუმრად მისული ნამდვილი ქართული ინტელიგენციის სახეთა გალერეა... ჩემს სტუდენტ თანატოლებთან ერთად ვუმზერდი მათ დახვეწილ მანერებს, საუბრებს, კეთილშობილ იერს და აშკარად ვხედავდი მშვენიერ ხიდს გადებულს ჩვენსა და იმ თაობას შორის.

საღამოს რიტმს და ინტონაციას სძენდა მაღალი რანგის მუსიკოსების: **გიორგი შავერზაშვილის, უჩა კორძაიას** და **გიორგი ხაინდრავას** ტრიო. კლასიკურ მუსიკას ჯაზური კომპოზიციები ენაცვლებოდა...

უამრავი თბილი სიტყვა ითქვა გრიგოლ აბაშიძეზე. იყო საუბრები უშუალო, ზოგჯერ პრივატულიც, შემფასებლურიც... მოგონებებით გამოვიდნენ: **ჯანსუღ ჩარკვიანი, ემზარ კვიტაიშვილი, როსტომ ჩხეიძე, გასტონ ბუაჩიძე, ჯემალ აჯიაშვილი, ტარიელ ჭანტურია, მწერლის შვილები – ჩინო და თოლია აბაშიძეები...**

სამწუხაროდ, ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ გაისმა მწერლის ხმა (რადიოს „ოქროს ფონდიდან“ გადაწერილი), მიკროფონებმაც ვერ გაამართლა...და მაინც, საზოგადოებას დიდხანს არ სურდა დაშლა.

დარბაზში მწერლის მოგონებების და წერილების პერსონაჟებიც ჩანდნენ. ისინი წარსულისა და აწმყოს ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნიდნენ...

## ღირსების საქმე

– ბატონო ჯანსუღ, როგორ გაიხსენებდით თქვენს უფროს მეგობარს?

ჯანსუღ ჩარკვიანი: ***ჩემს თაობას სამოციანელებს ეძახიან. როცა პირველად გამოვედით ასპარეზზე, ეს იყო ჟურნალი „პირველი სხივი“, რომელიც უნივერსიტეტში დაარსდა. შემდეგ ჩვენ „ცისკრელებს“ გვეძახდნენ. იმიტომ, რომ „ცისკარში“ ვბეჭდავდით. ჩვენი მომავლის განსაზღვრაში თავიდანვე დიდი როლი შეასრულა გრიგოლ აბაშიძემ. ის გახლდათ პატრიოტი, ვაჟკაცი, რაინდი კაცი, მამულიშვილი, შესანიშნავი პოეტი, მაგრამ ეს ყველაფერი არ კმარა, თუ არ ხარ ძალიან განათლებული. იგი დიდი ინტელექტის პიროვნება გახლდათ. მე უპირველესად იმას გავიხსენებ, რაც ქართულ ენასთან დაკავშირებით მოხდა, როცა ვეშაპი საქართველოს მშობლიურ ენასართმევდა: როგორ ივაჟკაცა მაშინ გრიგოლმა, როგორ უერთგულა ქართულ ენას! ეგეთი შეუპოვარი იშვიათად მინახავს! ჩვენს სამეგობროშიც ვიბრძოდით მაშინ ყველანი. ეს იყო მართლაც ღირსების საქმე... იმ თაობიდან განსაკუთრებულად ღირსეული პიროვნება იყო გრიგოლ აბაშიძე, ვინც თავის სიტყვას ხმამაღლა იტყოდა.***

***ახლა ხშირად ამბობენ: მე მიყვარს საქართველო. ეს რა არის, იცით? ვიღაცამ რომ თქვას, მე მიყვარს დედაო. ეს ხომ აბსურდია. რას ჰქვია დედა გიყვარს! აბა, შეიძლება დედა არ გიყვარდეს? არის ორი რაღაც ქვეყანაზე, რისი სიყვარულის ხმამაღალი ხაზგასმა არ შეიძლება – სამშობლო და დედა.***

***ეს მე უნდა ვთქვა, როგორ უყვარდა გრიგოლ აბაშიძეს თავისი სამშობლო. ის ხომ ამას არასოდეს იტყოდა. ლექსებს წერდა პატრიოტულს, რომ ახალგაზრდობას ეგრძნო რას ნიშნავს მამულისადმი ერთგულება. აი, ასეთი კაცი იყო და მე მიხარია, რომ დღევანდელ დღეს მისი შესანიშნავი წიგნი გამოიცა. მოვიდა ამდენი ბრწყინვალე ადამიანი. მე ამ რაოდენობის შესანიშნავი ხალხი ერთად იშვიათად მინახავს. გრიგოლ აბაშიძე იყო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი. მიხარია დღევანდელი დღე.***




## პრეზიდენტის მეუღლის ლიტერატურული სიმპათიები

დარბაზში მოულოდნელად დავინახეთ პრეზიდენტის მეუღლე ქალბატონი **სანდრა-ელისაბედ რულოვსი,** რომელიც საგამოფენო ექსპონატებს ათვალიერებდა და იქვე თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა. შევეცადეთ მისი ინტერესის საგანი უფრო დეტალურად გაგვეგო.

სანდრა-ელისაბედ რულოვსი: ***როცა ქართველების რძალი გავხდი, მაშინ ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ვცხოვრობდი... ვეცნობოდი მასალებს საქართველოზე და გრიგოლ აბაშიძის შესახებაც იქ შევიტყვე. ძალიან დავინტერესდი მისი შემოქმედებით. ერთი ლექსი გადავათარგმნინე, რომელიც განსაკუთრებით მომწონდა. შთაბეჭდილებებს ვაგროვებდი... მწერლის გაცნობის სურვილი გამიჩნდა... შემდეგ წერილებს ვწერდი ბატონ გრიგოლს. ჩემს შესახებაც ვუამბობდი, როდესაც მე საქართველოში ჩამოვედი, სამწუხაროდ, ის უკვე გარდაცვლილი იყო...***

## „სამშობლოს საშველს ვერ მოვესწარი“...

გრიგოლ აბაშიძემ თავისი მოგონებები ვერ დაასრულა. მისი განვლილი ცხოვრების მხოლოდ ქრონიკაც კი ათასგვარი ფიქრის აღმძვრელია, მაგრამ ალბათ განსაკუთრებულად ღირებულია ის კომენტარები, ქვეტექსტები, რომლითაც მწერალმა საკუთარი ეპოქისა და თანამედროვეების სული და ყოფიერება გამოხატა. სევდა, რომელიც მთელ მის შემოქმედებას დასდევს, როგორც ჩანს, ბოლო წლებში უფრო გაუმძაფრდა...

**„შენს რუკას – შენი**
**ბრძოლების სარკეს,**
**წეწდა და გლეჯდა ბედი**
**წყეული,**
**ძონძებს ჰგავს შენი მიწა-წყლის**
**თარგი**
**დაფლეთილია შენი სხეული...**
**...და ეს მავიწყებს ყველა**
**სატკივარს,**
**გულს ჩამრჩა დარდის**
**ერთი ნესტარი**
**– მეც სამარეში ისე ჩავდივარ,**
**სამშობლოს საშველს**
**ვერ მოვესწარი“...**

**ხატია ცარციძე,**
მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტი





**სურათებზე:** გიორგი შატბერაშვილი და გრიგოლ აბაშიძე – უნივერსიტეტის სტუდენტები; გრიგოლ აბაშიძე და მისი მეუღლე ლამარა აბაშიძე.

მკითხველის კომენტარი

# რუსიფიკაციის ცდები საქართველოში

„კვირაძალს საკითხავის“ წინა ნომერში, რუბრიკით **„ქართული ანდერგრაუნდი“** დაიბეჭდა მასალა თბილისის უნივერსიტეტის რუსიფიკაციის ცდებზე. იატაკქვეშეთის ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ მოთხრობილი გახლდათ 1975 წლის პერიპეტიები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რექტორი დ. ჩხიკვიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე მ. პირველი კათედრის გამგეებთან, წამყვან მეცნიერებთან კერძო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, რომ რიგი საგნებისა ქართულ უნივერსიტეტში რუსულ ენაზე წაკითხულიყო. პუბლიკაციის მიხედვით, განსაკუთრებული პროტესტი ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს გამოუხატავს. „რუსიფიკაციის ესოდენ დაურიდებელ ცდას“ აღუშფოთებია სხვადასხვა ფაკულტეტების დეკანები და პროფესორ-მასწავლებლები. უნივერსიტეტი წინ აღუდგა ამგვარ ძალადობას და კრემლის გეგმა საქართველოში ვერ განხორციელდა.

ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძის კომენტარი, რომელიც მან სპეციალურად „კვირაძალს საკითხავისთვის“ გააკეთა:

**ფაქტობრივად, ყველაფერი ასეც გახლდათ, მაგრამ აუცილებელია სხვა დეტალების გათვალისწინებაც. უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი მაშინ თითქმის გამოუვალ სიტუაციაში იყო. სინამდვილეში არც მას სურდა უნივერსიტეტის რუსიფიკაცია, მაგრამ მკაცრი დირექტივები „ზემოდან“ ასეთ მდგომარეობაში აყენებდა. იმ პერიოდში, ერთხელ რექტორის კაბინეტში შევედი. იქ ორი უცხო ადამიანი დამხვდა. რექტორმა მოულოდნელად ყვირილი დამიწყო. გამიკვირდა, რადგან ჩვენ ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით, რაც არ უნდა განსხვავებული აზრი გვქონოდა...**

**საბოლოოდ გაირკვა, რომ იმ ორი ადამიანის წინაშე, რომლებიც სათანადო ორგანოებიდან იყვნენ მოვლენილნი, დავით ჩხიკვიშვილმა განრისხების სცენა გაითამაშა. ამით მათ დაანახვა, რომ რექტორი და კათედრის გამგე „პრინციპულ“ საკითხებში საწინააღმდეგო პოზიციების არიან.**

**იმ დღეებში არა მარტო მე, არამედ მთელი უნივერსიტეტი ღირსეულად აღუდგა წინ ქართული უმაღლესი სასწავლებლების რუსიფიკაციას და ამ ბრძოლაში, რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, გამარჯვებული გამოვიდა.**

**ვერ გეტყვით, საიდან გაჟონა ინფორმაციებმა, მაგრამ მახსოვს, უნივერსიტეტში მიმდინარე ამ მოვლენებს მაშინ ჩვენში სასტიკად აკრძალული „ამერიკის ხმა“ თითქმის ყოველდღიურად გადასცემდა. ყოველდღე ჟღერდა ჩემი სახელი და გვარი და ამიტომ გარშემო ყველანი შეშფოთებულნი და დაძაბულნი იყვნენ.**

**ჩემი ძმა გიგა ყოველ დილით მირეკავდა და მეკითხებოდა: სახლში ხარ? ცოცხალი ხარ?**

**მას მერე მთელი ცხოვრება გავიდა. რადგან გაზეთის მკითხველს ახლაც აინტერესებს, როგორც ჩანს, ეს ამბავი დავიწყებას არ მისცემია და დღესაც მტკივნეულად აღიქმება.**

* * *

**დირექტივები კრემლიდან არა მარტო უმაღლესი სასწავლებლების, არამედ საშუალო სკოლების რუსიფიკაციასაც გულისხმობდა. ჩვენს პუბლიკაციას „ქართული ანდერგრაუნდი“ ცნობილი პედაგოგი, ქალბატონი ეთერ გულდამაშვილიც გამოეხმაურა:**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 17 ოქტომბრის ნომრის „კვირაძალს საკითხავში“ წავიკითხე მასალა თბილისის უნივერსიტეტის რუსიფიკაციის ცდებზე. აღწერილი გახლდათ რუსეთის მოთხოვნა, რომ უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე უნდა წაკითხულიყო. ეს ბრძანება მოსკოვიდან 1975 წლის ბოლოს მოსულა.**

**ზუსტად ასეთივე მოთხოვნა 1975 წელს მოვიდა განათლების სამინისტროშიც: თბილისის სკოლებში რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ.**

**თუ არ ვცდები, წერილს ხელს აწერდა პოლიტბიუროს წევრი მიხეილ სუსლოვი.**

**განათლების მინისტრმა პროფესორმა ოთარ ქინქლაძემ, გარკვეული მოსაზრებით, ეს ამბავი არ გაახმაურა. თუმცა, ამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა ხალხში. რუსეთის ოფიციალური წრეების მოთხოვნა არ შესრულდა. საქართველოში რუსიფიკაციის კიდევ ერთი ცდა მარცხით დასრულდა.**

**მოსკოვური დოკუმენტის დედანი, სამწუხაროდ, განათლების სამინისტროში მომხდარი ხანძრის დროს განადგურდა.**

**P. S. საინტერესოა, ამგვარი დოკუმენტი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსაც გაეგზავნათ თუ ეს მოთხოვნა მარტო საქართველოს, როგორც დაუმორჩილებელი რეგიონის, მიმართ იქნა მიღებული?..**

# ქართველი ანდერგრაუნდი

**(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „კვირაძალს საკითხავი“ №154**

***ის გაგრძელება... ***

*იატაკქვეშეთში გამოცემული ე. წ. არალეგალური ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ 1971 წლის 1 ნომერში ნაღმივით ჩაიდო წერილი – „პატიმრების წამება საქართველოს სსრ ციხეებში“. იქ მოთხრობილმა ამბებმა თავისი სიმწვავით „ციხის ლიტერატურის“ ყველაზე მძაფრ სიუჟეტებს გადააჭარბა. გასაოცარი ისიც გახლდათ, თუ როგორ შეაღწიეს ქართველმა დისიდენტებმა იმ აკრძალულ, მავთულხლართებით შემოსაზღვრულ ზონაში და ციხის დოკუმენტური რეალობა, თავისი შემზარავი დეტალებით და ნიუანსებით საზოგადოებას გააცნეს. ეს მასალა შემდგომ რამდენიმე ენაზე ითარგმნა და ინგლისურ, გერმანულ და რუსულენოვან სამყაროში გავრცელდა. გთავაზობთ რადენიმე ფრაგმენტს:*



## „პატიმრების წამება საქართველოს სსრ ციხეებში“

**(შემდგენელი ზ. გამსახურდია)**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების კომიტეტს უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უამრავი გაუხსნელი საქმე დაუგროვდა. გამომძიებელთა ცოდნა და გამოცდილება საკმარისი არ აღმოჩნდა ამ საქმეთა გამოსარკვევად და ამიტომ წამების მეთოდების ფართოდ გამოყენება გადაწყვიტეს, რისთვისაც თავად პატიმარ აგენტებს იყენებდნენ. პატიმრები: ცირეკიძე და უსუპიანი აგენტები იყვნენ. ისინი ადრეც იყვნენ ნასამართლევი სხვადასხვა დანაშაულისათვის. ციხის ადმინისტრაცია მათ წლობით აჩერებდა საგამოძიებო იზოლატორში, სასამართლოს განაჩენის შემდეგაც. ცირეკიძესა და უსუპიანს თავიანთ მუშაობაში იყენებდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი და პროკურატურა... საგამომძიებლო იზოლატორის მეორე კორპუსში არსებობს სპეციალური „№40 საკანი“, სადაც სვამდნენ აგენტ ჯალათებსა და მათ მსხვერპლთ, რომლებიც „დამუშავების“ შემდეგ ან საავადმყოფოში გადაჰყავდათ, ან სხვა საკანში. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ნაცემი პატიმრები ციხის საავადმყოფოებში იხოცებოდნენ. ამ საავადმყოფოს ექიმები ყალბ დიაგნოზებს ადგენდნენ და პატიმრის სიკვდილს ამა თუ იმ ავადმყოფობას აბრალებდნენ. ამას ეწოდებოდა პატიმრის **„ჩამოწერა“.**

*რაც შეეხება აგენტ ცირეკიძეს. როგორც თავად აღწერს, დაბადებულა 1938 წელს. იზრდებოდა უმამოდ საშინლად ხელმოკლე ოჯახში. უყურებდა ინვალიდი დედის ტანჯვასა და მონურ შრომას. ცირეკიძემ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა და აკრობატიკაში საქართველოს ჩემპიონობას და სპორტის ოსტატის ტიტულს მიაღწია. იგი ჩაითრიეს 1954-56 წლებში მოლოტოვის სახ. რაიმილიციის მუშაობაში სამძებრო განყოფილების უფროსმა ქოიავამ და არახამიამ. შეარქვეს მეტსახელი ი. პოპოვი და ოფიცრობასაც შეჰპირდნენ. მას დაევალა ქურდებთან დაახლოება, მათი ნდობის მოპოვება, რისთვისაც მათთან ერთად უნდა ეძარცვა. დაჭერის შემთხვევაში კი დახმარებას ჰპირდებოდნენ.*

„1958 წლის 23 ნოემბერს არავინ დაეხმარა და ცირეკიძე ციხეში ჩასვეს. მას აგენტი პატიმრები მიუსიეს ვასო ბერუკაშვილის მეთაურობით, რომელიც გაიოზ ბეგოშვილის ფსევდონიმით მოქმედებდა. ი. ცირეკიძეს სასტიკად სცემდნენ, გაპედერასტებით ემუქრებოდნენ და ბოლოს მიაღწიეს კიდეც საწადელს. იგი ციხის „ნასედკად“, ანუ ჯაშუშად აქციეს“.

*მრავალი წლის შემდეგ იური ცირეკიძე – შსს №1 საგამოძიებო იზოლატორის პატიმარი განცხადებაჩვენებას დაწერს:*

„მე დაშინებული ვარ №1 საგამომძიებლო იზოლატორის ყოფილი ადმინისტრაციის და მისი ბანდის ქმედებით. ისინი რეპრესიებს მიმართავდნენ ჩემს მიმართ და ყოველნაირი მეთოდებით მაიძულებდნენ ჩემს თავზე ამეღო „საქმე“ – მკვლელობა. მსურს საქმის კურსში შეგიყვანოთ: მე სკოლის მერხიდანვე გადამაცდინეს გზიდან მილიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა. მოტყუებებითა და დაპირებებით შემაცდინეს და სავსებით ბავშვი თავიანთ აგენტად მაქციეს. გულწრფელად გითხრათ, მომბეზრდა ამ ჯოჯოხეთური ტანჯვის ატანა. ღამ-ღამობით არ მეძინა და გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, როგორ გავცლოდი ამ ხალხს. ისინი ხომ არაფერს ერიდებოდნენ, არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ და ჩემი მოსპობაც დიდად არ გაუჭირდებოდათ. ბოლოს ძალა მოვიკრიბე და მტკიცედ გადავწყვიტე ყველასთან და ყველაფერთან მომეთავებინა საქმე. მათ გამოძახებაზე აღარ მივდიოდი. როდესაც სახლში მაკითხავდნენ მანქანით, გარეთ ვაგდებდი და მაინც...

კვლავ ციხე, კვლავ ათასნაირი წამება და მუქარა ციხის თანამშრომლების მხრიდან და ისევ დამაწყებინეს აგენტობა. **თუ აგენტობაზე უარს განაცხადებ, სპეციალურად „გაგშიფრავენ“ (პატიმრებს გაუმჟღავნებენ, რომ აგენტი იყავი) და „გაშიფვრის“ შიშით იძულებული ხარ დათანხმდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი საფრთხე გემუქრება,** ამიტომ ციხეშიც და კოლონიაშიც ვეხმარებოდი მათ აგენტურ მუშაობაში. სასჯელს ვიხდიდი მე-4, 25-ე, 28-ე კოლონიებში და ყველგან ვეხმარებოდი ადმინისტრაციას, როგორც აგენტი. 1966 წელს მე-4 კოლონიიდან უშიშროების კომიტეტის შინაგან ციხეში გადამიყვანეს, სადაც აგენტურულ მუშაობაში ხელმძღვანელობას მიწევდა აგენტთა შეფი ჟორა გეგელია. უშიშროების კომიტეტში ყოფნისას საკანში ვამუშავებდი ობიექტებს: ვალუტით მოვაჭრეებს, ოქროს გადამყიდველებს, ჯაშუშებს, ღვინისა და კონიაკის ფალსიფიკაციის საქმეზე დაპატიმრებულ პირებს. ვმუშაობდი უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებთან...

1967 წელს სასჯელის მოხდის შემდეგ გავთავისუფლდი. ვცხოვრობდი მშვიდად და არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩამიდენია. ცოტა ხნის შემდეგ გამომიძახეს მკვლელობის საქმეთა სამძებრო განყოფილებაში. მე ოპერატიულად და სწრაფად გადავჭერი ისეთი გადაუჭრელი პრობლემა, რისთვისაც მთელი მოსკოვი და საქართველო ფეხზე იდგა: ყველას დავუმტკიცე ჭეშმარიტება მთელი ოჯახის ამოხოცვის შესახებ ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარში. ამ საქმის ირგვლივ თითქმის ყველა აგენტი არასწორ ცნობებს იძლეოდა. საქმის გახსნისათვის 100 მანეთით დამაჯილდოვეს. საერთოდ, ორგანოს მუშაკებთან თანამშრომლობის მთელ მანძილზე ფული იშვიათად მიმიღია. ხელწერილებს კი ფულის მიღებაზე ხშირად მაწერინებდნენ. სამსახურში მუშაობის პარალელურად ვეხმარებოდი ყველას. მილიციის მუშაკებმა ნამდვილ აგენტად მაქციეს და მიჯერებდნენ. 1969 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომიძახა მე-4 სამძებრო განყოფილების უფროსმა გაბუნიამ და მთხოვა დავხმარებოდი ციხიდან გაქცეული ბანდიტის რომან ჭიხვარიას, მეტსახელად „ჯაყოს“ მოძებნაში, რომელიც ხშირად გამოჩნდებოდა ვორონცოვის ახლომახლო, ისე კი ჩოხატაურის რაიონიდან იყო. მიშა გაბუნიამ მისი ფოტო მაჩვენა და სიტყვიერადაც დამიწერა, მივიღე შესაბამისი ინსტრუქცია და მთელი მონდომებით შევუდექი დავალების შესრულებას. მე მოვახერხე ჭიხვარიას პიროვნების დადგენა და დავუახლოვდი კიდეც მას. მილიციამ მომცა ცეცხლმსროლელი იარაღი და თავის მშობლიურ სოფელ ნაბეღლავში წავყევი, სადაც შევიტყვე ყველა მისი საიდუმლო და დავადგინე ყველა მისი სამალავი. დავამუშავე დაპატიმრების გეგმა: ჭიხვარაია და მე ერთად დაგვიჭირეს უკიდურესად მთვრალები (მე იგი სპეციალურად დავათვრე წინასწარი შემუშავებული გეგმის მიხედვით). აჰ ყარეს იარაღი, გაასამართლეს და მკაცრი რეჟიმის ზანაკი მიუსაჯეს 15 წლით...

1970 წლის მარტში სასწრაფოდ გამომიძახა მიშა გაბუნიამ. გამაცნო ვინმე ირაკლი – საქართველოს უშიშროების კომიტეტის სამძებროსა და შპიონაჟის განყოფილების თანამშრომელი. დავალება მომცეს: მე უნდა გადავფრენილიყავი ქ. ბაქოში და დავახლოვებოდი უცხოეთის შპიონს, რომელიც ასპირანტი იყო და აღმოსავლეთ ენებს სწავლობდა. მაცნობეს აგრეთვე, რომ იგი 27 წლისაა და პედერასტიას მისდევს („პასიურს“). მომცეს ბილეთი ბაქოს თვითმფრინავზე, 50 მანეთი და აეროპორტში წავედი ირაკლისთან ერთად.

როგორც დათქმული იყო, ბაქოს აეროპორტში შევხვდით საქართველოს უშიშროების კომიტეტის თანამშრომელს ბალაშევსკის და აზერბაიჯანის უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელს იბრაჰიმს. დამაბინავეს სასტუმრო „სამხრეთში“. ოპერაციის განხორციელება ბაქოში შეუძლებელი გახდა. მაშინ გადავწყვიტეთ მისი თვითმფრინავში და თბილისში განხორციელება. ამერიკელი ტურისტად იყო ჩამოსული და სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობდა. მას ამავე დროს ლენინგრადში ხელშეკრულება უნდა დაედო სამი წლით სამეცნიერო თანამშრომლობაზე. ბაქოდან გამოფრენისას მის გვერდით დამსვეს. მე ვთამაშობდი სპორტსმენი მწვრთნელის, აქტიური მამაკაცისა და ყველასთან ნდობით განწყობილი ადამიანის როლს. გავეცანი ამერიკელს და თბილისში ჩამოსვლისას პაემანი დავუნიშნე. იგი მოათავსეს სასტუმრო „ივერიაში“, ხოლო მე სასტუმრო „თბილისში“, სადაც ჩემი ნომერი წინასწარ იყო აღჭურვილი ათასნაირი აპარატურით. საღამოს ოპერის თეატრთან შევხვდი ამერიკელს და დიდხანს ვისეირნეთ თბილისის ქუჩებში. როდესაც უფრო მეტად დავუახლოვდი და მისი სრული ნდობა მოვიპოვე, დავპატიჟე და ჩემთან შევიყვანე ნომერში. დავიწყეთ კონიაკებისა და ღვინოების სმა (პურმარილი უშიშროების თანამშრომლებმა მოამზადეს წინასწარ), ამერიკელი დათვრა, მთლიანად მომენდო და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადაბირება დამიწყო. ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, აქებდა ამერიკას. მპირდებოდა: ამერიკაში გადაგიყვან და ყველაფერში დაგეხმარებიო. მეც ვითომ ვეთანხმებოდი. კავშირის დასამყარებლად მან მომცა ამერიკული საიდუმლო მისამართები და თავისივე ხელით დაწერილი ნომრები. ამერიკელი ჯაშუში იმითი გამოვააშკარავე, რომ მისი ყოველი მოქმედება და საუბარი ჩემთან ჩაწერილ იქნა მაგნიტოფონზე და სატელევიზიო ფირზე. უშიშროების თანამშრომლებმა მითხრეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ლენინგრადში მიგავლინებთო, მაგრამ მე ამასობაში დამაპატიმრეს. რაც შემდეგნაირად მოხდა:

გაბუნია ჭიხვარაიას დაჭერისათვის დააწინაურეს და საქართველოს სსრ შსს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილეედ გადაიყვანეს. მისი დავალებით მივაკვლიე ოქროს გამყიდველს, სომეხ „მიშკას“, რომელმაც თათრის მოედანზე 450 ოქრო მიჰყიდა ვინმე ებრაელ მიშას, რომელიც ცხოვრობს დიღმის ქუჩის შესახვევში. ეს აზერბაიჯანელი ებრაელი მუშაობდა ქ. გარდაბნის მაღაზიაში. ეს ამბავი მ. გაბუნიას შევატყობინე. მან პირადად მიმიყვანა შ. ბაღათურიასთან, რომელსაც როგორც აგენტმა მივაწოდე ცნობა მათ შესახებ და თან აღვნიშნე, რომ ამ საქმეში გარეული არიან თბილისის ლენინის რაიონის მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც ქრთამი აიღეს ზემოხსენებული პირებისაგან და გაუშვეს ისინი. შემდგომში ეს საქმე რატომღაც მიჩქმალეს, რაც მინისტრის მოადგილის კოვალჩუკისთვისაც არ დარჩენილა გაუგებარი. გაბუნიამ და ბაღათურიამ იფიქრეს, რომ კოვალჩუკს მე მოვახსენე ეს ამბავი და რატომღაც გაბრაზდნენ ჩემზე...

დაპატიმრების შემდეგ 1970 წლის 2 ივლისს გადამიყვანეს წინასწარი პატიმრობის საკანში (კპზ), სადაც ყალბი ჩვენება მივეცი... ლეჟავამ მითხრა, რომ მას დაურეკა გაბუნიამ და მიცნობს მე, როგორც აგენტს. მომათავსეს №2 სპეციალური კორპუსის №43 საკანში. აქვე მინდა აგიხსნათ, თუ რას ნიშნავს **„სპეციალური კორპუსი“.** №2 კორპუსი ციხის მარჯვენა ფრთაზეა და სხვა კორპუსებისგან იზოლირებულია. იგი დაარსდა 1966 წელს და გამიზნული იყო თავიდანვე მხოლოდ აგენტურული მუშაობისთვის. ძველი კორპუსი გადაკეთდა და ყოველგვარი აპარატურით აღჭურვილი ათი საკანი გაიხსნა. ამ საკნებში მხოლოდ აგენტ პატიმრებსა და მათი საშუალებით დასამუშავებელ ობიექტებს ათავსებდნენ.

**(გაგრძელება იქნება)**








ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი სამხედრო მხარდაჭერას მიიღებს

**ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო უშიშროების საკითხებში თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელის თანაშემწე ალექსანდრ ვერშბოუ.**

საქართველოს დედაქალაქში მისი ყოფნის გრაფიკი გათვლილი იყო თითქმის წუთობით. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწე თავის რეზიდენციაში მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელთან მოლაპარაკებაც მიმდინარეობდა დახურულ კარს მიღმა. ამას გარდა, ალექსანდრ ვერშბოუ შეხვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელს და მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობათა სამუშაო ჯგუფის სხდომაში, რომელიც განიხილავდა უშიშროების საკითხებს. აღვნიშნავთ, რომ ეს იყო პირველი სამუშაო შეხვედრა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების კომისიის ფარგლებში.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანთან ეკა ტყეშელაშვილთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განიხილა საკითხების ფართო სპექტრი, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს უშიშროებას და ორი ქვეყნის თანამშრომლობას ამ სფეროში. ვერშბოუმ განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს ძალისხმევას რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად, იმისთვის, რომ საქართველო ვითარდებოდეს დამოუკიდებლად, თავისუფლად და საგარეო საფრთხის გარეშე“. ამისთვის ვაშინგტონი დახმარებას გაუწევს საქართველოს თავდაცვის სისტემის რეფორმასა და მოდერნიზაციაში, რაც ამერიკის გეგმის შესაბამისად მიუახლოებს მას ნატოს სტანდარტებთან და ხელს შეუწყობს რესპუბლიკის შესვლას ალიანსში.

თანაც ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს იქნება დახმარება ახალი თავდაცვის დოქტრინის შექმნაში, უახლოეს პერიოდში კი – საქართველოსთვის მხარდაჭერა სამხედრო სწავლების მოწყობაში, სამხედროების მომზადებასა და სწავლებაში.

თავის მხრივ თბილისმა დაარწმუნა ამერიკელი სტუმარი, რომ ასეთი მხარდაჭერა „მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია“. „ქართული მხარისთვის მეტად მნიშვნელოვანია თავდაცვის გეგმის განსაზღვრა, რისთვისაც კმაყოფილებით მივიღებთ ჩვენი ამერიკელი კოლეგების დახმარებას“, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიგა ბოკერიამ.

რაც შეეხება რესპუბლიკის ნატოში შესაძლო შესვლას, სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ალექსანდრ ვერშბოუმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს, შეიმუშაოს სპეციალური გეგმა, რომელიც „გააძლიერებს საქართველოს მისწრაფებას ალიანსში“. ეტყობა, ამერიკის თავდაცვის უწყებაში ვარაუდობენ, რომ ამჟამად თბილისს ასეთი მისწრაფება ნაკლებად აქვს.

მიუხედავად ამისა, ვერშბოუმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს იხილოს საქართველო „თავისუფალი, ძლიერი და დამოუკიდებელი პარტნიორი, რომელსაც შესაძლებლობა ექნება დაიცვას თავისი თავი“, რასთან დაკავშირებითაც რესპუბლიკის უშიშროების გაძლიერებას მხოლოდ უნდა მივესალმოთ.

ამავე დროს პენტაგონის წარმომადგენელმა სასწრაფოდ დაუმატა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ განიხილავს ამერიკის სამხედრო ბაზების საქართველოში განთავსების საკითხს. ვაშინგტონი აგრეთვე არ გეგმავს რაიმე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსებას იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, რომლებიც არ არიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები. „ჩვენ არანაირ კონსულტაციებს არ ვაწარმოებთ ამ საკითხთან დაკავშირებით იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ შედიან ნატოში და არც ვგეგმავთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ჩვენი ახალი არქიტექტურის ელემენტების განთავსებას იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, რომლებიც არ არიან ნატოს წევრები“, – განაცხადა ვერშბოუმ, აღნიშნა აგრეთვე, რომ ამასთან დაკავშირებით არავისთან მოლაპარაკებაც კი არ მიმდინარეობს, ვინაიდან ამ საკითხში განიხილება რუსეთთან თანამშრომლობის საკითხი.



მთლიანად მაღალი რანგის ამერიკელი ჩინოვნიკის ვიზიტმა თბილისში უნდა გასცეს პასუხი შეკითხვას, როგორ აიგება ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, რუსეთთან „განტვირთვის“ პირობებში. ნუ დაგვავიწყდება ის ფაქტიც, რომ ამჟამად რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო პარტნიორია ირანის ბირთვული პრობლემის გადაწყვეტაში, რაც ვაშინგტონისთვის მაინც ყველაზე უფრო არსებითია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მალავდნენ, რომ ვერშბოუს ვიზიტმა უნდა გააწონასწოროს მოსკოვში სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ამასწინანდელი ვიზიტი, როგორც ეს მოხდა ივნისში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას ამერიკაში ვიზიტის შემდეგ საქართველო და უკრაინა მოინახულა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა.

მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრ ვერშბოუმ გაართვა თავი თავის ამოცანას და დროებით მოუხსნა საქართველოს ხელმძღვანელობას შიში. მან დაარწმუნა ოფიციალური თბილისი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობათა „განტვირთვა“ „არ მოხდება ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრული ქვეყნების ინტერესების საზიანოდ“. მისი სიტყვებით, საქართველოს საკითხი იყო და რჩება ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პრიორიტეტად დიალოგში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის, თუმცა ამასთან დაკავშირებით ურთიერთგაგების მიღწევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. „ჩვენ გვინდა, რომ შეუთანხმებელი საკითხები საქართველოსთან დაკავშირებით გახდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის თანამშრომლობის საგანი, როგორც ეს ხდება ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, ავღანეთისა და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით“, – განაცხადა მან. შეძლებენ თუ არა ამას, დრო გვიჩვენებს.

**ნატალია იარმოლიკი**

Красная звезда

# საქართველოს ნატოში გადახტომა მაპის გაუვლელად სურს

**საქართველოს აქვს რეალური შანსი შევიდეს ნატოში და თანაც მისთვის ეგრეთ წოდებული მაპის პროგრამის გაუვლელად. ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ ნალბანდოვმა.**

მან განაცხადა, რომ საქართველო გასული წლიდან ასრულებს მისთვის ალიანსის მიერ მიწოდებულ ყოველწლიურ ეროვნულ გეგმას, და ნატოში შესვლის ექსკლუზიური გეგმა უკვე საჭირო აღარ იქნება.

„შესაძლებელია ალიანსთან დაახლოება, შემდეგ კი მასში შესვლა“, – თქვა მინისტრის მოადგილემ. მისი სიტყვებით, „მოქმედებათა ჩვენი ყოველწლიური გეგმა, უბრალოდ რომ ვილაპარაკოთ, არის ის პარადიგმა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ გვაქვს ზუსტი წარმოდგენა იმისა, თუ რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას დღეს, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თეიმურაზ იაკობაშვილმა დაადასტურა, რომ ქვეყანას ალიანსთან დაახლოებისთვის შეიძლება აღარც დასჭირდეს მაპი, და მაშინ საქმე დამოკიდებული იქნება მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნების პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ თავისი თბილისში ვიზიტის ყოფნის დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს, შეიმუშაოს საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაციის დაჩქარების სპეციალური პროგრამა.

РОСБАЛТ

# საქართველო და აშშ რუსეთისგან დაცვის გეგმას აგებენ

**საქართველოს პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში უშიშროების საბჭოს მდივანთან და ამ ქვეყნის კონგრესმენებთან ერთად განიხილა ვაშინგტონის შესაძლებლობა თბილისის უშიშროების უზრუნველყოფის გეგმაში. საკითხი შეეხებოდა აგრეთვე საქართველოსთვის ფინანსურ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან და ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებას.**

„ჩვენი განხილვის მთავარი თემა უშიშროება, საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებია, რაც წამოიჭრა რუსეთის აგრესიული მოქმედების შედეგად, აგრეთვე ის, თუ რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს ამ სიტუაციიდან და რა ნაბიჯს დგამს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დახმარებისა და მისი უშიშროების უზრუნველყოფისთვის“, – განმარტა ბაქრაძემ.

საქართველოს უშიშროების საკითხი განიხილება ბრიუსელშიც ნატოს მინისტერიალზე. ტელეარხ „რუსთავი-2“-ის მონაცემებით, „საკითხი საქართველოზეც იქნება: მოსკოვს კიდევ ერთხელ შეახსენებენ, რომ მის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება კანონსაწინააღმდეგო იყო“.

ერთი კვირის წინათ ბაქრაძე უკვე საუბრობდა რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის ახალი სამხედრო დოქტრინის შინაარსი შეაფასა, როგორც „აგრესიისა და მუდმივი შანტაჟის გაგრძელება“.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის ახალი რედაქცია ითვალისწინებს გამაფრთხილებელი ბირთვული დარტყმის მიყენებას აგრესორზე ეროვნული უშიშროებისთვის კრიტიკულ სიტუაციებში, განაცხადა ადრე რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა.

ამავე დროს ბაქრაძემ გამორიცხა ამ დაშინების განხორციელება „არა იმიტომ, რომ რუსეთს ამის გაკეთება არ შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ რუსეთს ძალიან ძვირი დაუჯდება ამ დაშინებათა განხორციელება საერთაშორისო არენაზე“.

სექტემბრის ბოლოს საქართველოს სპიკერმა თავი გამოიჩინა აგრეთვე მთელი რიგი პროვოკაციული გამონათქვამების გამო რუსეთის თემატიკაზე, განაცხადა კერძოდ, რომ მოსკოვი უარს ამბობს საქართველოსთან დიალოგზე, მაშინ, როდესაც მუდმივად ვაცხადებთ სურვილს, გადაჭრას ყველა პრობლემა რუსეთთან მოლაპარაკების გზით. პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გამოსვლის დროს სპიკერმა აგრეთვე განაცხადა იმის შესახებ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ლუის მარია დე პუჩმა გამოხატა ევროპის მზადყოფნა, გამოვიდეს შუამავლად მოლაპარაკებაში საქართველოსა და რუსეთს შორის.

ბაქრაძემ აგრეთვე შეგვახსენა ევროსაბჭოს დიალოგის შარშანდელი პირობების შესახებ – რუსეთის არმიის გამოყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოლაპარაკების გზით და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმება.

საქართველოს სპიკერის სიტყვებით, დე პუჩმა დაადასტურა, რომ რუსეთის მხრიდან „არ ყოფილა არავითარი მზადყოფნა დიალოგის ასეთი ტიპისთვის“, ვინაიდან რუსეთის ფედერაციას „არავისთან დიალოგი არ სურს“, იგი რეალურად მარტოა და ამავე დროს მიდის საერთაშორისო პოლიტიკის დინების წინააღმდეგ“.

**სერგეი საბაკი**

Утро.ru

## დედამიწის ზურგზე



**ობამას რეიტინგმა მიაღწია რეიტინგის დაცემის რეკორდულ ტემპებს ნახევარი საუკუნის განმავლობაში**

საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში იანვარში ობამას რეიტინგი შეადგენდა 78 პროცენტს. მაგრამ უკვე აპრილში ის დაეცა 62 პროცენტამდე. მესამე კვარტალში ხალხის მხარდაჭერა შესუსტდა კიდევ თითქმის 10 პროცენტით – 53 პროცენტამდე. რეიტინგის დაცემას უკავშირებენ გაუბედაობას საგარეო პოლიტიკაში, უმუშევრობის ზრდას და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის არაპოპულარობას.

* * *

**თვითმკვლელმა ველოსიპედზე მოაწყო აფეთქება დიდი ავიაკომპლექსის შესასვლელთან: დაიღუპა 7 კაცი**

ტერაქტის მსხვერპლთა შორის არიან, როგორც მინიმუმი, ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ორი სამხედრო მოსამსახურე და ოთხი მშვიდობიანი მოქალაქე. კიდევ 15 კაცი დაიჭრა. კომპლექსი კამრეში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმოა, სადაც აწყობენ საბრძოლო თვითმფრინავებს. აქვეა დისლოცირებული უახლესი გამანადგურებლები და ბომბდამშენები.

* * *

**ღამის მიწისძვრამ ავღანეთსა და პაკისტანში სულ ცოტა 5 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა**

ავღანეთში მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან. მიწისქვეშა ბიძგები აღწევდა 6,5 ბალს. შეშინებული ხალხი ტოვებდა სახლებს და მთელი ღამე ქუჩაში ატარებდა. უახლოესი დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება კიდევ ველოდოთ ახალ მიწისძვრას, იტყობინებიან სეისმოლოგები.

* * *

**ამერიკელმა მფრინავმა იძულებითი დაჯდომის წინ ჩამოაგდო ბომბი თავის სამხედრო ბაზაში**

იგი მოქმედებდა მკაცრად ინსტრუქციის ჩარჩოებში, რომელიც ითვალისწინებს საბრძოლო აღჭურვილობის და სათბობი ბაკების ჩამოყრას, რათა შეამციროს თვითმფრინავის წონა. არავინ დაზარალებულა, მიწაზე დაშვება მოხდა მშვიდად. ერთმა ბომბმა მიწასთან გაასწორა დამხმარე ნაგებობები, მეორე არ აფეთქებულა, მას გააუვნებლებენ.



## ◉ დაზუსტება

**ირაკლი ცქიტიშვილის** მასალაში „გერმანული დემოკრატია საბჭოთა კომუნიზმზე უკეთესი არ აღმოჩნდა“, რომელიც ჩვენი გაზეთის 23 ოქტომბრის ნომრის მე-8 გვერდზე დაიბეჭდა, მესამე სვეტის 11-12 სტრიქონები (ზემოდან) უნდა იკითხებოდეს: „საკუთარ სითბოზე ზრუნვით გერმანიის პოლიტიკა სულ უფრო მიისწრაფის“ – შემდეგ, როგორც ტექსტშია.

ხედვა

(მეხუთე გვერდიდან)

**— ობამას რუსეთში ვიზიტამდე, მას მერეც და ახლაც, რუსეთისადმი მის პოლიტიკას ძალიან ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. აშშ-ის პრეზიდენტს ხან საკუთარი კონგრესმენები, ხანაც ევროპელი ლიდერები ახსნებენ რუსეთის სახით რასთან გვაქვს საქმე. რატომ გახდა საჭირო ასეთი ეპისტოლარული ჟანრი?**

— რადგან ცხადი გახდა, რომ ობამა არ ამართლებს იმ იმედებს, რომელსაც მას უკავშირებდნენ. მე საარჩევნო ხმა მისთვის არ მიმიცია, მხარი მაკკეინს დავუჭირე, რადგან ბარაკ ობამა, ფაქტობრივად, გამოუცდელი კანდიდატი გახლდათ. ამერიკაში რეკლამა ყველაზე ალქმადი ინსტრუმენტია და ამერიკელები ხშირად სწორედ რეკლამის

# ლეონიდ კომაროვსკი:

# აშშ გაეროს წევრობა უნდა შეწყვიტოს...

ჩარჩოებში აზროვნებენ. ობამას კი, მართლაც, მშვენივრად აწყობილი სარეკლამო კამპანია ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. თუ თვალს გადავავლებთ მის საერთაშორისო პოლიტიკას, იგი ყველაზე მცირე წინააღმდეგობის გზით მიდის. ეს კი ეკონომიკური ურთიერთობებისა და კონტაქტების კორექციას გულისხმობს. მას ჰგონია, რომ თუ იგი რუსეთთან რაღაც სახის ეკონომიკურ შეთანხმებებს დადებს, ეს ამერიკისთვის მომგებიანი იქნება. მას არ ესმის ის, რაც მანამადე ამერიკის ყველა პრეზიდენტს ესმოდა: აშშ-ისთვის სასარგებლოა, როცა მსოფლიოში წესრიგია და მხოლოდ ამის საფუძველზეა შესაძლებელი ეკონომიკური შენობის აგება. იმ სამი დღის განმავლობაში, რაც ობამამ მოსკოვში დაჰყო, მედვედევთან მხოლოდ ავღანეთზე მოილაპარაკა, რომ რუსეთის ტერიტორიიდან თვითმფრინავის 30 გაფრენა უფასო იქნება. ამერიკის პრეზიდენტი არ გასაუბრებია ადამიანის უფლებების რუს დამცველებს. მით უმეტეს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებით არ გაჟღერებულა. საქართველოში აგვიტოსშემდგომი სტატუს-ქვო ძალიან დიდხანს, თუ მეტსაც არ ვიტყვი — სამუდამოდ შენარჩუნდება. რამდენი ათწლეულია რაც კვიპროსი გამოყოფილია? ყველა გაჰყვირის, რომ ეს ნორმალური არ არის, ეს ცუდია, ცუდი, ძალიან ცუდი, მაგრამ განა ეს ყვირილი საქმეს რამენაირად შველის? რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება გარკვეულწილად ამერიკის შეცდომის დამსახურებაცაა. კოსოვოს აღიარებამდე ძალიან ბევრი შიშობდა, ამერიკასა და სხვა ქვეყნებს აფრთხილებდა, რომ ეს პრეცედენტი „კარგად" იქნება გამოყენებული და სუვერენიტეტების ალღუმი გაიმართებაო. შედეგმა არ დააყოვნა: უკრაინას პრობლემა ყირიმში ექმნება, 27 მილიონი ქურთი კი ყველა გზაჯვარედინზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილის შესახებ გაიძახის. უცნაურია, რომ მილიონზე მეტ კოსოველს თავისი სახელწიფოს შექმნის უფლება აქვს, 27 მილიონ ქურთს კი — არა. მსოფლიოში ნებისმიერი ქმედება ჯანსაღ აზრთან უნდა იყოს შეთანხმებული და არა ისტორიულ მომენტთან. სამწუხაროდ, ცნება „ჯანსაღი აზრი" პოლიტიკაში, მგონი, საიმედოდაა დავიწყებული. თუ თვალს მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედს გადავავლებთ, ევროპაში მხოლოდ ერთ საღ პოლიტიკოსს, ჩეხ ვაცლავ ჰაველს აღმოვაჩენთ. დანარჩენები კი ფლუგერივით არიან. რაც შეეხება სააკაშვილის ქმედებას შარშან აგვისტოში, ძალიან კარგად მესმის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის პუნქტებს ასრულებდა, მაგრამ ყოველნაირად თავი უნდა აერიდებინა ამ ომისთვის. მაგრამ მას ძალები არც ამისთვის ეყო და არც რუსი აგრესორებისთვის. ახლა ძალიან ადვილია ამ გადასახედიდან იმსჯელო იმაზე, თუ რა იყო სწორი და რა — არა... მით უმეტეს, როცა უცხო ქვეყნის ჯარმა უკვე გადმოკვეთა ქვეყნის საზღვარი. რასაკვირველია, საქართველო, როგორი მოდერნიზებული არმიაც არ უნდა ჰყავდეს, რუსეთის ყველაზე ჩამორჩენილ არმიას ომს მაინც ვერასოდეს მოუგებს. რუსები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ქართველები. ეს არასოდეს დაგავიწყდეთ! სტალინმა ერთ გერმანელ ჯარისკაცს ოთხი თავისიანი დააკლა. რუსეთის იმპერიისთვის დახოცილ თავისიანთა რაოდენობას არასოდეს ჰქონდა მნიშვნელობა და არც ახლა აქვს რაიმე ღირებულება, ისევე როგორც რუსეთს დიდად არ აინტერესებდა, არ აინტერესებს და არ დააინტერესებს აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთელების ბედი. თუმცა, როგორც ვატყობ, ეს არც ამ ხალხს ადარდებს დიდად.

სამწუხაროდ, ბარაკ ობამას პოლიტიკა არის ე. წ. „რეალ პოლიტიქ", რომელიც, ფაქტობრივად, ეკონომიკურ კავშირებს ეფუძნება. მაგრამ ამერიკა მხოლოდ ასეთი პრინციპებით რომ ცხოვრობდეს, მე სსრკ-დან ვერ გავაღწევდი, ამერიკაში არ ვიქნებოდი. ვგულისხმობ იმას, რომ ამერიკა არ მიიღებდა კანონებს, რომლიც საბჭოთა კავშირს ებრაელების გაშვებას აიძულებდა. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი დღევანდელი დემოკრატების ადმინისტრაცია თურქმენეთისა და უზბეკეთის მსგავს ქვეყნებთან ჟონგლირებს. ეს კი ქვეყნებია, სადაც პიროვნების უფლებები საერთოდ არ არსებობს. მაგალითად, თურქმენეთში ახალი პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით ორი ათეული ინტერნეტ-კაფე გახსნეს. მომხმარებელს კი შესვლისთანავე ჯერ საპასპორტო მონაცემებს ეკითხებიან, მერე კი, როცა ადამიანი კომპიუტერს მიუჯდება, კაფეს მფლობელი უთვალთვალებს თუ ვინ, სად, რაგვარ საიტზე შედის. თურქმენეთში მხოლოდ ერთი პროვაიდერია და მას, ბუნებრივია, არ გაუჭირდება საპასპორტო მონაცემებითა და დროის განსაზღვრით გაიგოს ვინ, რომელ საიტებს ათვალიერებდა, მაგრამ ინტერნეტ-კაფე თავს იზღვევს და თავადაც ამოწმებს. ამერიკულ პრესაში კი სტატიების სერია დაიბეჭდა იმის შესახებ, თუ რა კარგია, თურქმენეთში ინტერნეტი ყველასათვის ხელმისაწვდომი რომ გახდაო. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ადრეც იყო ასეთი „სიბეციის" შემთხვევები, ახლა კი ეს ლამის ნორმად გადაიქცა.



**— ეს ასეა, ყველას საკუთარი ტკივილი უფრო აწუხებს, ვიდრე სხვისი ჭირი. აგერ, კონგრესმა აფრო-ამერიკელებს, რომელთა წინაპრები მონები იყვნენ, ოფიციალური დადგენილებით ბოდიში მოუხადა და იმასაც ამბობენ ხუმრობით, ყოველი წლის ივნისი ამ ბოდიშის თვედ გამოცხადდაო...**

— აფრო-ამერიკელები აშშ-ის მოსახლეობის 13 პროცენტს წარმოადგენენ და ამავე დროს ყველაზე შეძლებულ ფენად ითვლებიან. ზანგები გუბერნატორები, კონგრესმენები, ძალიან წარმატებული და მდიდარი ადამიანები არიან. ჩემს შტატ მასაჩუსეტში ზანგები უმცირესობაა, თუმცა გუბერნატორი აფრო-ამერიკელია და მე მას პატივს ვცემ. მაგრამ არა კანის ფერის, არამედ მისი პროფესიონალიზმისა და კარგი პროგრამის გამო. ობამასა და მისი მიმდევრების იდეა კი ის იყო, რომ ამერიკას ბოლოს და ბოლოს პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტი უნდა ჰყოლოდა, თუმცა მე აქ დიდი სიამაყის საფუძველს ვერ ვხედავ. რომ ეთქვათ, რომ ის ყველაზე ჭკვიანია, აი, მაშინ ნამდვილად გამიხარდებოდა. რა აქვთ საამაყო აფრიკის იმ ქვეყნების ხელმძღვანელებს, საიდანაც ევროპელებს მონები ჩამოჰყავდათ? არაფერი! აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 35 წელია. ობამას გამარჯვების გამოცანის გამოცნობა კი ძალიან მარტივი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ამერიკას ამ ეტაპზე რაღაცის მძლავრი სიმბოლო სჭირდებოდა და მიიღო კიდეც...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

ქართული სონეტის საღამო

***ქართული სონეტის საღამო — ასე ერქვა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" დარბაზში გამართულ შეხვედრას პოეტსა და მთარგმნელთან ჯემალ აჯიაშვილთან. „ჩვენი მწერლობის" რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ხუთიოდე წლის წინათ,ჯემალ აჯიაშვილი „ჩვენი მწერლობის" დარბაზში ორჯერ მიიწვიეს, მაგრამ იმის გამო, რომ იგი ისრაელში საქართველოს კონსულია, მასთან შეხვედრა იშვიათობად იქცა.***

# ჯემალ აჯიაშვილის სამი სამშობლო...

„ჩვენი მწერლობის" რედაქციამ მაინც მოახერხა და თბილისში რამდენიმე დღით ჩამოსული მწერლის მოხელთება შეძლო... დარბაზი ოვაციით შეხვდა შუასაუკუნეების ებრაული პოეზიის, დასავლური ლირიკისა და დრამატული თხზულებების ბრწყინვალე მთარგმნელს. „ბატონი ჯემალი ძალიან დიდხანს მალავდა საკუთარ სონეტებს. ასეთი ვირტუოზი ლექსისა იშვიათია", — დასძინა როსტომ ჩხეიძემ.

ჯემალ აჯიაშვილის როგორც მთარგმნელის დიდ დამსახურებაზე ისაუბრეს ინესა მერაბიშვილმა, გიორგი გოგოლაშვილმა, ლია სტურუამ, გივი შაჰნაზარმა, გურამ ბათიაშვილმა, შოთა ბოსტანაშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა და სხვებმა...

რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ გაიხსენა გასული საუკუნის 70-იანი წლები, როდესაც ბატონ ჯემალთან თანამშრომლობა დაიწყო. მაშინ მას უთარგმნია იაპონელი კლასიკოსის ჩიკამაცუს პიესა „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე". ეს სპექტაკლი მრავალ ქვეყანაში დაიდგა, მათ შორის იაპონიაშიც: „მართალია, იაპონელებმა ქართული ენა არ იცოდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ დიდებულ პოეზიას ისმენდნენ. შემდეგ კარლო გოცის „ლურჯი ურჩხულის" დადგმა გადავწყვიტე და ეს ნაწარმოებიც ჯემალ აჯიაშვილმა ბრწყინვალედ თარგმნა", — აღნიშნა მედეა კუჭუხიძემ.

შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს მწერლის თამამ დამოკიდებულებაზე ქართული ენისადმი, რომ ჯემალ აჯიაშვილის პოეზია ჭეშმარიტად ქართული სიტყვის ზეიმია — ეს არის ქართულ წიაღში და ქართული პოეზიის ტრადიციებით ნაშობი. თავად ბატონი ჯემალი თითოეულ სიტყვაზე რუდუნებითა და პასუხისმგებლობით მუშაობს. იყო დრო, როდესაც ფშავ-ხევსურეთში დაიარებოდა და ძველ ქართულ დიალექტებს იწერდა.

— არანაირი საიდუმლო არ მაქვს. რასაც ვწერ, თავისით მოდის. არ მწამს ასეთი დაყოფის — არქაიზმი, ბარბარიზმი... შეიძლება ყველაზე ძმედითი სიტყვა ისე ჩასვა კონტექსტში, არქაულად წარმოჩინდეს, შეიძლება — პირიქით, ყველაზე ძველი სიტყვა შესაბამის კონტექსტში თანამედროვედ გაჟღერდეს, — აღნიშნა ბატონმა ჯემალმა.

ამიტომაცაა მისი პოეზია და თარგმანები უაღრესად თანამედროვე. ამაზე იტყვიან, პოეზია თავად ქმნის ენის კანონებსო. ასე მოგვევლინა ჯემალ აჯიაშვილი, როგორც პირველაღმომჩენი ქართული ენის წიაღში არსებული სიტყვის მადნისა. მდიდრული ენა და ლექსიკა გამოარჩევს ესპანეთში მცხოვრები ებრაელი პოეტების თარგმანებს.

— ჩემი მიზანი იყო სიმბიოზის შექმნა, ერთი მხრივ — ბიბლიური და არაბული კულტურის დანაშრევების გამოძახილი, მეორე მხრივ კი — ესპანური ხალხური სიმღერების სითბო... ანუ ერთმანეთის შეერწყა მაჰმადიანური, ებრაული და ქრისტიანული კულტურები.

საინტერესო იყო ლია სტურუას



აზრი: „ებრაელები ბიბლიას „ჯიბის სამშობლოს" უწოდებენ. ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ჯემალს აქვს სამი სამშობლო: ესაა ბიბლია, საქართველო და პოეზია".

თავად ბატონმა ჯემალმა, შეხვედრის ბოლოს, ყურადღება გაამახვილა დიპლომატიურ საქმიანობაზეც. ისრაელი მისთვის საინტერესო ყოფილა ქართველი სიძველეების თვალსაზრისით — ჯვრის მონასტერი გოლგოთის შემდეგ ყველაზე დიდ სიწმინდედ ითვლება იერუსალიმში.

— ჯვრის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნების თაობაზე საზოგადოებას არაადეკვატური ინფორმაცია აქვს. იერუსალიმის წმიდა ადგილების 70 პროცენტი ტერიტორიულად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს, რომელიც საბერძნეთის საპატრიარქოს არ ექვემდებარება. ის დამოუკიდებელი ერთეულია. ჯვრის მონასტერი ამ ტერიტორიაზეა. მონასტრიდან 100 მეტრის მანძილზე ისრაელის საკანონმდებლო ორგანო — ქნესეთი მდებარეობს. ქნესეთის ტერიტორიაც ისრაელმა ამ ბერძნული საპატრიარქოსგან შეიძინა. ისრაელმა შარშან რამდენიმე წლით ეს ვადა გააგრძელა. ასე რომ, ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხი კომპლექსურად უნდა მოხდეს. უწინარესად, მთავარი სიტყვა ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს, ისრაელის სახელმწიფოს და იორდანიას. ეს საკითხი საერთო ძალისხმევით უნდა გადაწყდეს და გრძელვადიანი პროცესია.

ბატონმა ჯემალმა რუსთაველის ფრესკის ვანდალურ აქტზეც ისაუბრა. 2004 წელს ფრესკა ხელყოფილ იქნა. მონასტრის ბერებმა საკუთარი გემოვნებით ვითომ აღადგინეს ფრესკა, მაგრამ ქართველი მეცნიერების პროტესტის შედეგად, დაიწყო რუსთაველის ფრესკის აღდგენის პროცესი.

— ფრესკა აღადგინა იერუსალიმის ბერძნულმა საპატრიარქომ და ისრაელის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტმა. ჩვენთან ინახება ის დოკუმენტური მასალა, თუ როგორ ხდებოდა ეტაპობრივად ფრესკის აღდგენა. ახლა ფრესკა დაცულია, ორიგინალთან მაქსიმალურადაა მიახლოებული, მაგრამ ვეღარასოდეს იქნება ის, რაც იყო.

იხ. 11 გვ.

ფეხბურთი

# ბოლო შანსი



**შოტლანდიაში მიმდინარე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიასთან მარცხის — 0:2 შემდეგ მასპინძლებს 2:1 სძლია და ელიტ-რაუნდში გადასვლის შანსი შეინარჩუნა.**

საამისოდ აუცილებელია ხვალინდელ დაკვნით ტურში კვიპროსელთა დამარცხება, რომლებსაც ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ. სტარტზე სქოთებთან სენსაციური გამარჯვების — 2:1 შემდეგ კუნძულელები ფავორიტ პორტუგალიასთანაც დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და მატჩი 1:2 წააგეს.

დავძენთ, რომ „ჯვაროსანთაგან“ გოლები ჭანტურიამ და სხირტლაძემ გაიტანეს.

პორტუგალია — 6, კვიპროსი, საქართველო — 3-3, შოტლანდია — 0 ქულა.

ჭადრაკი

# იღბლიანი სტარტი

**სერბული ნოვი სადი მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატს მასპინძლობს. შეჯიბრებაში 64 ნაკრები მონაწილეობს. მედლების მაძიებელთა შორის ქართველი დიდოსტატებიც არიან. ჩვენმა მოჭადრაკეებმა სტარტი წარმატებით აიღეს — ქალებმა პირველ ტურში ჩეხებს სძლიეს 3:1, ლელა ჯავახიშვილმა კატერინა ნემკოვას მოუგო, სოფიკო ხუხაშვილმა ევა კულოვანა დაამარცხა, ბელა ხოტენაშვილმა სონა პერთლოვას გააჩერებინა საათი, ნანა ძაგნიძე კი იანა ჯაკოვას დანებდა.**



ვაჟებმა 2,5:1,5 ფინელებს აჯობეს (ბაადურ ჯობავა — ტომი ნიბაკი 0:1, მერაბ გაგუნაშვილი — მიქაელ აგოპოვი 0,5:0,5, ლევან ფანცულაია — მიკა კარტუნენი 1:0, თორნიკე სანიკიძე — ტომი ლეუკონენი 1:0ძ.

პირველ ტურში ფავორიტთაგან ყველამ მოიგო, რუსეთის ვაჟთა გუნდის გარდა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ხორვატებს დაუზავდნენ.

**ქალები.** რუსეთი — ესპანეთი 3,5:0,5, უკრაინა — ისრაელი 3,5:0,5, სერბეთი — ჩერნოგორია 3,5:0,5, ხორვატეთი — პოლონეთი 0:4, გერმანია — ავსტრია 3,5:0:5; **ვაჟები.** აზერბაიჯანი — ავსტრია 3:1, დანია — სომხეთი 1:3, ბულგარეთი — იტალია 1,5:2,5, შვეიცარია — უკრაინა 2,5:1,5, ისრაელი — ჩერნოგორია 2,5:1,5, მაკედონია — გერმანია 1:3.

**ლექსო ცინცაძე**

მეცნიერება და სპორტი

# მთავარი საზრუნავი — ათლეტთა მომზადება

**ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე უმაღლესი სასწავლებლის სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით დაიწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დევიზით — „ოლიმპიური სპორტი“ — „სპორტი ყველასთვის“, რომელიც ორ დღეს გასტანს. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი სერგო რატიანი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა, პარლამენტარი, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე, სპორტის მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი, ცნობილი ტელერადიოკომენტატორი ჯამლეტ ხუხაშვილი.**



კონფერენციის მონაწილეებმა შემდეგ მუშაობა სექციებში განაგრძეს. მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ: ნ. ბერიანიძე (შეჯიბრების პერიოდში სხვადასხვა საშუალების გამოყენების ეფექტურობა აკრობატების მაგალითზეძ, შ. ბუაძე, გ. ასანიძე (ძალოსნობაში მოვარჯიშეთა ასაკობრივი დინამიკა და მათი წონითი კატეგორიების მიხედვით დაჯგუფების საკითხიძ, დ. ჩიტაშვილი, ე. კორინთელი, მ. მირცხულავა (მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მზადყოფნის ძირითადი მაჩვენებლის კორელაციის ზოგიერთი საკითხიძ, თ. გაჩეჩილაძე (სპორტი ყველასათვის და გლობალიზაციაძ, ლ. მაისურაძე (ძალის პრობლემები საქართველოს ახალგაზრდა ასაკის პოპულაციაშიძ, ი. დოლიძე (სპორტი ვალეოლოგიის პოზიციიდანძ და სხვები.

კონფერენცია დღეს დამთავრდება.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: კონფერენციის გახსნისას.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ევროპის ლიგა

# მხოლოდ შედეგები

**გაიმართა ევროპის ლიგის პირველი წრის დასკვნითი III ტურის შეხვედრები, რომლებიც ასე დასრულდა:**

**„ა“ ჯგუფი.** „ტიმიშოარა“ — „ანდერლეხტი“ 0:0, „აიაქსი“ — „დინამო“ (ზაგრებიძ 2:1. **„ბ“ ჯგუფი.** „ლილი“ — „ჯენოა“ 3:0, „ვალენსია“ — „სლავია“ 1:1. **„გ“ ჯგუფი.** „სელტიკი“ — „ჰამბურგი“ 0:1, „ჰაპოელი“ — „რაპიდი“ 5:1 (ერთი გოლი სტუმართა კარში **ზურაბ მენთეშაშვილმა** გაიტანაძ. **„დ“ ჯგუფი.** „ვენტსპილსი“ — „სპორტინგი“ 1:2, „ჰერტა“ — „ჰერენვენი“ 0:1. **„ე“ ჯგუფი.** „ფულჰემი“ — „რომა“ 1:1, ცსკა (სოფიაძ — „ბაზელი“ 0:2. **„ვ“ ჯგუფი.** „გალათასარაი“ — „დინამო“ (ბუქარესტიძ 4:1, „პანათინაიკოსი“ — „შტურმი“ 1:0. **„ზ“ ჯგუფი.** „ზალცბურგი“ — „ლევსკი“ 1:0, „ლაციო“ — „ვილიარეალი“ 2:1. **„თ“ ჯგუფი.** „შერიფი“ — „ტვენტე“ 2:0, „სტიაუა“ — „ფენერბახჩე“ 0:1. **„ი“ ჯგუფი.** „ბენფიკა“ — „ევერტონი“ 5:0, ბატე — აეკი 2:1. **„კ“ ჯგუფი.** „შახტარი“ — „ტულუზა“ 4:0, „ბრიუგე“ — „პარტიზანი“ 2:0. **„ლ“ ჯგუფი.** „ეინდჰოვენი“ — „კოპენჰაგენი“ 1:0, „სპარტა“ — „კლუჟი“ 2:0. **„მ“ ჯგუფი.** „აუსტრია“ — „ვერდერი“ 2:2, „ბილბაო“ — „ნასიონალი“ 2:1.





კალათბურთი

# ქართული წვლილი

**ევროლიგის ჯგუფური ეტაპის სტარტი კონტინენტის ყველაზე პოპულარული საკლუბო ტურნირის წლევანდელი ტრიუმფატორის — ათენის „პანათინაიკოსის“ ქართველი ლეგიონერის გიორგი შერმადინის საბრძოლო ნათლობით აღინიშნა.**

12 წუთში ჩაგდებული 2 ქულით ჩვენმა თანამემამულემ მოკრძალებული წვლილი შეიტანა მის პარტნიორთა მიერ იტალიაში „მილანთან“ მოპოვებულ გამარჯვებაში — 75:67. ვიმედოვნებთ, იგი მალე კიდევ უფრო გათამამდება და პირად მონაგარსაც გაზრდის.

**გაუწყებთ პირველი რაუნდის სრულ შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „ფენერბახჩე“ — „ბარსელონა“ 59:82, „ჟალგირისი“ — „ვილერბანი“ 71:52, „ციბონა“ — „სიენა“ 40:85.

**28 ოქტომბერს ითამაშებენ:** „სიენა“ — „ჟალგირისი“, „ვილერბანი“ — „ფენერბახჩე“, „ბარსელონა“ — „ციბონა“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ — „ორლეანი“ 94:72, „პარტიზანი“ — „უნიკახა“ 64:72, „რიტასი“ — „ეფესი“ 77:70.

**28 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ორლეანი“ — „ეფესი“, „უნიკახა“ — „ოლიმპიაკოსი“, „ეფესი“ — „პარტიზანი“.

**„გ“ ჯგუფი.** „მაკაბი“ — „ოლიმპია“ 85:65, „მაროსი“ — ცსკა 65:66, „რომა“ — „ვიტორია“ 77:65.

**29 ოქტომბერს ითამაშებენ:** ცსკა — „რომა“, „ოლიმპია“ — „მაროსი“, „ვიტორია“ — „მაკაბი“.

**„დ“ ჯგუფი.** „მილანი“ — „პანათინაიკოსი“ 67:75, „ხიმკი“ — „რეალი“ 84:81 (დამატებით დროში, 72:72ძ, „პროკომი“ — „ოლდენბურგი“ 81:87.



**29 ოქტომბერს ითამაშებენ:** „რეალი“ — „პროკომი“, „პანათინაიკოსი“ — „ხიმკი“, „ოლდენბურგი“ — „მილანი“.

ინტერნეტიდან

## ოლიმპიური მედლები დამძიმდა

**ალბათ დაკვირვებულხართ, მორიგი ოლიმპიური თამაშების მასპინძლები ცდილობენ, რაც შეიძლება, განსხვავებულად გააკეთონ ყველაფერი — ის თამაშების საზეიმო გახსნა-დახურვა იქნება, თუ მთავარი ჯილდოები-მედლები.** აქეთკენ ისწრაფვიან კანადელებიც. 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადა ხომ მათთან, ვანკუვერში უნდა გაიმართოს. მართალია, 12 თებერვლამდე ჯერ კიდევ სამ თვეზე მეტია დარჩენილი, მაგრამ მათ გადაწყვიტეს, ქვეყანა გაეოცებინათ — წარმოადგინეს ჩემპიონების დასაჯილდოებელი მედლები. ისინი, ჯერ ერთი, არასტანდარტული, სწორკუთხოვანი ფორმისაა, თანაც ბრტყელი კი არ გააკეთეს, არამედ რაღაც ტალღისებური. ამ მხრივ ამას წინათ გერმანიაში, მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე „გამოიჩინეს“ თავი, სხვათა შორის, ახალ მედლებზე ნათლადაა გამოსახული ინდიელების მითოლოგიური კომპონენტები. ისე რომ, 615 მედლიდან ყველას ინდივიდუალური სახე აქვს.

ვინაიდან ყველა სპორტსმენი უნიკალურია, ამდენად ყველა მედალიც განსხვავებული იქნება.



ასევე განსხვავებული იქნება როგორც მედლის დიზაინი, ისე წონა. ისინი 500 გრამიდან 575 გრამამდე იწონიან. ასეთი მძიმე მედლები ოლიმპიურ თამაშებზე ჯერ არ ყოფილა. უმაღლესი ხარისხის ყოველ მედალზე იქნება 6 გრამი ოქრო. აბა, წარმოიდგინეთ, მოცურავე მაიკლ ფელპსი, ერთბაშად 8 ოლიმპიური მედალი რომ მოიგო, კისერზე ჩამოკიდებული 4 კილოგრამი მედლებით. ნუთუ ზედაპირზე ამოტივტივდებოდა?!

## არჩევანის უფლება მოიპოვა

**ალბათ სულ მალე ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მეორე შვილის მამა გახდება. როგორც მისმა ლამაზმანმა ცოლმა ალიონა სერედოვამ განაცხადა — მათ ბიჭი ეყოლებათ.**



„ძალზე მიხარია, რომ ლუის ტომას ძმა ეყოლება, — თქვა ალიონამ, — მათ შორის განსხვავება ორი წელი იქნება, ისე რომ, არ მოიწყენენ“. ახლა ფეხბურთელიც და ლამაზმანი მოდელიც ცდილობენ ბიჭის სახელის გამოძებნას. „ამჟამად არჩევანი ჩემზეა, — თქვა სეროდოვამ, — მინდა, მას ისეთი სახელი დავარქვა, რაც ადვილად წარმოსათქმელი იქნება იტალიურადაც და ჩეხურადაც“.

ქართული სონეტის საღამო

# ჯემალ აჯიაშვილის სამი სამშობლო...

(მეცხრე გვერდიდან)

თავად ბერძნული საპატრიარქოს დამოკიდებულება ჯვრის მონასტრის სიძველეების მიმართ დიდიხნის დაწყებულია. ყველას გახსოვთ ირაკლი აბაშიძის, გიორგი წერეთლისა და აკაკი შანიძის მოგზაურობა პალესტინაში, როცა აღმოაჩინეს რუსთაველის ფრესკა. ირაკლი აბაშიძის „პალესტინის დღიურში" მოთხრობილია ბერძენი ბერების უარყოფით დამოკიდებულებაზე ქართველი სიძველეების მიმართ. ყველანაირად ცდილობდნენ ქართული კვალის მიჩქმალვას ჯვრის მონასტერში.

ჯემალ აჯიაშვილმა გაიხსენა საინტერესო ისტორია, რომელიც რუსთაველის ფრესკის აღმოჩენას უკავშირდება.

– კოლორიტულ პიროვნებაზე რაფი ბარლავზე – ბალუაშვილზე უნდა მოგითხროთ, რომლის წინაპრები ქუთაისიდან მე-19 საუკუნის ბოლოს წავიდნენ ისრაელში. თავად რაფი ისრაელში დაიბადა. უშიშარი მეომარი იყო, იერუსალიმის ალყის დღეებში დიდი გმირობაც ჩაიდინა. მაშინ (ეს ამბავი ექვსდღიან ომამდე ხდებოდა) იერუსალიმი ორ ნაწილად იყოფოდა – ერთი ნაწილი ისრაელს ეკუთვნოდა, მეორე კი – იორდანიას. ბერძნული საპატრიარქოს მესვეურები იყვნენ ძველ იერუსალიმში, რომელიც მაშინ იორდანიას ეკუთვნოდა, ჯვრის მონასტერი კი ახალ იერუსალიმში, ქნესეთთან ახლოს მდებარეობს. მისი გამგებელი ბერძნული საპატრიარქო იყო.

საქართველოს დელეგაციის წევრებს არ ჰქონდათ იორდანიაში გადმოსვლის საშუალება თითოეულ წვრილმანზე შესათანხმებლად. ადგილობრივი ბერები ყველანაირად ხელს უშლიდნენ მუშაობას მონასტერში. ამ რაფი ბარლავიმ ეს ბერები სატრაპეზოში მიიწვია და ქართული ღვინოებით გაუმასპინძლდა, გამოათრო ბერები და თვალით ანიშნა ჩვენს მეცნიერებს, მუშაობა დაიწყეთო. მთელი ღამე ღრმად ეძინათ ბერებს, დილით დაინახეს, რომ რაღაც ხდებოდა და რაფის უჩივლეს, პოლიციაში დაასმინეს. რაფი ბარლავი დააპატიმრეს, მაგრამ იგი მალევე გამოუშვეს.

რაფი ბარლავის ახლო ურთიერთობა ჰქონდა უწმინდესთან და უნეტარესთან. მისი ინიციატივით, 1992 წელს, აფხაზეთის ომის დროს თბილისში მედიკამენტებით დატვირთული ერთი თვითმფრინავი ჩამოფრინდა. მისი სახელობის ქუჩა არსებობს იერუსალიმში. მასზე ამბობენ – ეს არის კაცი, რომელიც შეზრდილია ისრაელის სინამდვილესთან, მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ძირებიო...

ჯემალ აჯიაშვილს მომავალი წლის გაზაფხულზე კონსულობის ვადა ეწურება. იგი დაუბრუნდება საქართველოს და იმედია, შემოქმედებით საქმიანობას უწინდელივით ნაყოფიერად გააგრძელებს.

შეხვედრაზე მისი პიროვნების ერთ გამორჩეულ თვისებას გაუსვეს ხაზი – ეს არის კაცი, რომელსაც დროის შეგრძნება არა აქვს და ჩვენს საშინელ ეპოქაშიც სულიერებას არ კარგავს. ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრებისეული არსი ხასიდური შეგონებაა: ყველა ადამიანს აქვს საკუთარი შინაგანი დრო და მას უნდა მიუყურადოს. სწორედ ეს შინაგანი დრო გამოარჩევს მწერალს – ჩვენ კი ჟამგადასული სიყვარულის ახალი საგალობლის მოლოდინში ვართ...

თამარ შაიშმელაშვილი

სანთელი

## როლანდ კალანდაძე



კიდევ ერთი ულალატო წევრი გამოაკლდა იმ ისედაც შეთხელებულ წრეს, რომელსაც ლახტზე გაზრდილი, დაცოტავებული ძირძველი თბილისელები იცავენ.

ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან როლანდ კალანდაძე, ამხანაგებზე, მეგობრებზე და უბრალოდ, ნაცნობ-უცნობებზე გადაგებული კაცი. რა დასამალია და, როდესაც მეგობრებს ხარ გადაყოლილი, სამსახური და ოჯახი განზე გრჩება. როლანდმა ძმაკაცების ყადრიც იცოდა, სამსახურისაც და ოჯახისაც, რადგან თავად იყო ოჯახიშვილი. ათეული წლების მანძილზე ერთგულად ზიდა ჭაპანი ღირსეულ მეუღლესთან ერთად, რომელსაც შეუმჩნევლად შემოპარულ ხანდაზმულობაშიც ქველებურად ეტრფოდა და თავს ევლებოდა.

თავისი ხარკი გადაუხადა მეცნიერებასაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის აღზრდილმა შთამომავლობას დაუტოვა რამდენიმე შესანიშნავი ისტორიული მონოგრაფია, უფრო მეტი გამოსაცემი დარჩა. იმ რამდენიმე წიგნის გამოცემასაც ორმა-სამმა ახლო მეგობარმა მოაბმევინა თავი. არ იცოდნენ, რომ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გამოსაცემ-გამოსაქვეყნებელი, თორემ უარს როგორ ეტყოდნენ?! სხვას რომ ეთხოვა რაიმე, პირიდან სულს ამოიღებდა, მაგრამ თვითონ თხოვნას სიკვდილი ერჩივნა. იმიტომ კი არა, რომ ამპარტავანი იყო, – სხვისი შეწუხება არ უყვარდა თავის საქმეზე. ცოლ-შვილს მისთვის არ დაუკლია არაფერი, მაგრამ სიკვდილს წინ რა დაუდგება?! სწორედ ამიტომ, მისი ავადმყოფობის ამბავიც ბევრმა არ იცოდა.

70 წლისაც არ იყო ისე წავიდა როლანდი, პირნათლად ზიდა თავისი ჯვარი იმ აღმართზე, რომელიც ყოველმა კაცმა უნდა აიაროს, თუ სურს, ამაღლდეს.

აღმართზე, რომელიც დაღმართზე ერთით მეტია!

ღმერთმა გაცხონოს, როლანდ!

ამხანაგები

ქ. თბილისის ს.ს.ი.პ. № 120 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის 32 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად ბუფეტის ფუნქციონირებისთვის.

1 კვ.მ. საწყისი საკონკურსო ფასი შეადგენს 4,5 ლარს, საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადა 2 წელი. განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში № 120 საჯარო სკოლის დირექციაში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით № 120 საჯარო სკოლა, უწერის ქ. №86, ტ. 895 44 96 63.

მარინა წერეთელი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

ნოდარ ემუხვარი ოჯახით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ლეილა და ოთარ ასვანუებს შვილის

ნიკა ასვანუას

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

---

მალხაზ, ლიკა, მურად და რუსუდან ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა გამორჩეული მეგობარი

ნიკა ასვანუა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

შეუცნობელი

# სიკვდილის ნაჭდევი

## სიცოცხლის ვადა შეიძლება განისაზღვროს წუთამდე

**პროფესორ ევგენი ჩერნოსვიტოვის ბინაში ინახება კოლექცია, რომლის დანახვაც კი ტანში გზარავს. პროფესორს, მედიცინისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტის კათედრის გამგეს აქვს იშვიათი გატაცება – აგროვებს დიდ ადამიანთა სიკვდილისშემდგომ ნიღბებს.**

წიგნის კარადის მინიდან უკვდავებისკენ იმზირებიან პუშკინისა და დოსტოევსკის, მაიაკოვსკისა და ესენინის, სუვოროვისა და ნაპოლეონის... უსიცოცხლო სახეები.

**– ნუთუ გსიამოვნებთ, მუდმივად იმყოფებოდეთ მიცვალებულთა საზოგადოებაში?**

– ყოველ შემთხვევაში, ეს უსარგებლო არაა, – ამბობს პროფესორი. – ამ არცთუ ჩვეულებრივმა გატაცებამ მრავალი წლის წინათ მიმიყვანა მიხვედრილობამდე: გარდაცვლილთა სახეები აბსოლუტურად სიმეტრიულები არიან ცოცხალთა სახეებისგან განსხვავებით.

### სიმეტრიულია? კვდები!

ასეთი აღმოჩენის შემდეგ დოქტორი ჩერნოსვიტოვი კიდევ წინ წავიდა: სახაზავით გაყო სახე ცხვირის შუა ხაზიდან – ერთი შეხედვით, სახის მარჯვენა და მარცხენა ნახევარი ერთნაირია. მაგრამ თუ კარგად დაუკვირდები, შეამჩნევ მცირე სხვაობას, რომლის გაზომვაც შეიძლება საკმაოდ ზუსტად. ტენდენცია ასეთია: რაც ახალგაზრდაა ადამიანი, მით ძლიერია სხვაობა სახის ორ ნახევარს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალგაზრდა და ჯანსაღი ადამიანების სახეებს აქვთ გამოკვეთილი ასიმეტრია. სიცოცხლის განმავლობაში იგი მცირდება. სახის სრული სიმეტრია კი მოწმობს სიკვდილის დადგომას.

კანონზომიერებაში ყველას ადვილად შეუძლია დარწმუნდეს. აიღეთ ორი თქვენი ფოტოსურათი (სასურველია, ორივე ანფასში), რომლებიც გადაღებულია ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში – ვთქვათ, თხუთმეტი და ოცდახუთი წლის ასაკში. შეადარეთ ერთმანეთს სახის მარჯვენა და მარცხენა ნახევრების სხვაობა ერთ და მეორე სურათებზე და დარწმუნდებით: „უფრო ახალგაზრდა" პორტრეტზე სიმეტრია უფრო გამოხატულია. პროფესორმა ისწავლა სახის ასიმეტრიის გაქრობის სიჩქარე და ამ მონაცემების გამოყენება.

– ერთხელ, როდესაც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი ფსიქიატრი ვიყავი, ლექციას ვკითხულობდი კოლონიაში ალტაიზე. მსმენელები რიგრიგობით აღებდნენ ჯიბის სარკეებს თავიანთ ფოტოებზე. უცბად ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა მცველი და დაბნეულად წარმოთქვა: „შეხედეთ, პროფესორო, მე სახის სრული სიმეტრია მაქვს". შევამოწმე და გავშეშდი: მართლაც, ამ კაცმა ამოწურა მისთვის გამოყოფილი ვადა. მაგრამ, რასაკვირველია, არ დავიწყე მისი აღმოჩენის დადასტურება, პირიქით, დავიწყე მისი დამშვიდება: დამშვიდდით, სერიოზულად ნუ მიიღებთ ჩემს ჰიპოთეზას – ეს ხომ მხოლოდ კანონზომიერების ძიებაა. როცა ბარნაულში ჩავედი (გავიდა ოთხი საათიძ, მატარებელთან პოლიციის განწესი დამხვდა. წამიყვანეს განყოფილებაში, სადაც დამიწყეს დაკითხვა: რა უთხარით კოლონიის მცველს, თქვენთან რომ მოვიდა? თურმე, როგორც კი დატოვა დარბაზი, სადაც მე ლექციას ვკითხულობდი, ეზოში მას თავს დაესხა პატიმარი და თვითნაკეთი დანით გამოჭრა ყელი.

გამოდის, რომ სახის სრული სიმეტრია (სიკვდილის ნაჭდევიძ ჩნდება არა მხოლოდ სასიკვდილო დაავადების განვითარების შედეგად – ეს მართლაც გასაგები იქნებოდა. არამედ, გამოდის, რომ სახე – ნებისმიერი სიკვდილის 100-პროცენტიანი სინდიკატორია, შემთხვევითი სიკვდილისაც კი!

**– მაშასადამე, ადამიანის ბედი წინასწარაა განსაზღვრული?**

– სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მრავალწლიანი პრაქტიკის პერიოდში მე გავკვეთე სამი ათასზე მეტი გვამი, ასე რომ, თვალი შეჩვეული მაქვს. დამიჯერეთ, მინახავს მიცვალებულები, რომელთა ყველა ორგანო ჯანსაღი იყო, და მათი სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო – უბრალოდ, რატომღაც გაჩერდა გული და პირიქით, მინახავს მიცვალებულები, რომლებიც, მედიცინის ყველა კანონის მიხედვით, დიდი ხნის წინათ უნდა წასულიყვნენ იმ ქვეყანაში: ფილტვები – როგორც ჩვრები, ღვიძლი დიდი ხანია ამოჭამა ალკოჰოლმა... შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ როგორ ფუნქციონირებდა მათი ორგანიზმი. ამიტომ მე ჩემთვის გავაკეთე პარადოქსული დასკვნა: ადამიანები კვდებიან სულაც არა ავადმყოფობის გამო.



**– მაშ, რისგან?**

– მოდის ვადა (შეგახსენებთ, ის შეიძლება განვსაზღვროთ სახის ასიმეტრიის კვლომის სიჩქარითძ და სიცოცხლე მთავრდება. მიზეზი შეიძლება იყოს, რაც გინდა: როგორც წამყვანი ავადმყოფობის გამწვავება, ისე უბედური შემთხვევა (თუმცა ახლა სიტყვა „შემთხვევა" აშკარად არ ვარგაძ ანდა სიკვდილის მიზეზი დაუდგენელი რჩება.

### თარიღი ცნობილია... რატომ?

ამ აღმოჩენის სოციალური გამოკვლევა ჯერ კიდევ სავსებით გასაგები როდია. რასაკვირველია, ყველა როდია მზად, იცოდეს იმ ქვეყნად წასვლის თარიღი – ამის ცოდნამ შეიძლება არსებობა წამებად აქციოს. მაგრამ, შეიძლება, ინფორმაციამ მძიმე ავადმყოფი პაციენტის „სიცოცხლის მარაგის" შესახებ მკურნალ ექიმს უკარნახოს, თუ როგორი მკურნალობის გამოყენებაა უკეთესი.

შეიძლება ისტორიის საინტერესო დაზუსტება. მაგალითად ე. ჩერნოსვიტოვმა დაგვარწმუნა, რომ მისი კოლექციიდან მხოლოდ სუვოროვი და დოსტოევსკი იყვნენ შეუქცევადად მიცვალებულები, როდესაც მათგან იღებდნენ სიკვდილისშემდგომ ნიღბებს. დანარჩენები კი ჯერ კიდევ კლინიკური სიკვდილის ფაზაში იყვნენ. პროფესორი დარწმუნებულია, რომ ამას თითქმის ვერავინ დააღწევს თავს. ამ განსაკუთრებულ მდგომარეობაში სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ადამიანი თვალს ავლებს განვლილ ცხოვრებას და ემშვიდობება სააქაოს.

სხვათა შორის, მიცვალებულის სახეზე სიმშვიდე და დაწყნარებულობა ნიშნავს, ჩერნოსვიტოვის აზრით, რომ ის კმაყოფილია განვლილი ცხოვრების შედეგებით. მაგალითად, გოგოლის სახის უშფოთველი გამომეტყველება უარყოფს ვერსიას იმის შესახებ, რომ იგი თითქოს ცოცხალი დამარხეს.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ქველმოქმედება

# როცა მადლფენა მრავლობს

**პაატა ბურჭულაძე ის ხელოვანია, რომელმაც ლამის მთელი მსოფლიო საქართველოსკენ მოახედა და ჩვენი ეროვნული ჭირ-ვარამი ბოლომდე გააზიარებინა. ხუთიოდე წლის წინათ პაატას ხელდასხმით დაარსებულმა საერთაშორისო ფონდმა „იავნანამ“ თითქმის დაუჯერებელი ზნეობრივი გმირობის ტოლ-სწორი ღონისძიებები შემოგვთავაზა და დღემდე 35 საქველმოქმედო კონცერტი-მარათონი გამართა.** უანგაროდ შეგროვილი თანხით ანუ შემოწირულობებით ბინა შეუძინა სოციალურად დაუცველ 38 ოჯახს, მინიმუმ 210 ბავშვი დაუბრუნა საკუთარ მშობლებს და გადაარჩინა ბავშვთა სახლებში მოხვედრას... 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ თავის მხარდამჭერებთან ერთად „იავნანა“ სამაჩაბლოდან დევნილი ოჯახებისთვის ყიდულობს საკვებს და მართავს კონცერტებს. 2008 წლის სექტემბერში პაატა ბურჭულაძე უარს ამბობს მოსკოვში დაგეგმილი საიუბილეო კონცერტის გამართვაზე, ჩამოდის საქართველოში და მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავებთან ერთად, ათასობით ანთებულ სანთლის ფონზე, სპორტის სასახლეში აგუგუნებს ვერდის „რეკვიემს“. აქციაზე მოგროვილი შემოწირულობით ომის დროს დაობლებულ 123 ბავშვს დაენიშნა ყოველთვიური დახმარება. 4 ოჯახს შეუძინეს საკუთარი სახლი, 7 წლის დიტო რაზმაძე კი „იავნანას“ შვილობილი გახდა...



კიდევ 50 000 ლარზე მეტი შეგროვდა 20 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გამართულ სამი ტენორის დიდებულ კონცერტზე... პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის „დაძახილზე“ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დასახმარებლად იმღერეს მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავებმა, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენოპერის“, „ლა სკალას“ და ლონდონის „კოვენტ გარდენის“ იტალიელმა ტენორებმა **მარკო ბერტიმ და პიერო ჯულიაჩიმ,** აგრეთვე, ქართველმა ვარსკვლავმა **ბადრი მაისურაძემ.**

კონცერტზე შემოსული თანხა იმის საშუალებას იძლევა, რომ დევნილ 123 ბავშვს კიდევ 6 თვით გაუგრძელდება უანგარო დახმარება. ყულოშვილების მრავალშვილიან ოჯახს კი იმ დღეს სცენაზე გადაეცა ახალი ბინის სიმბოლური გასაღები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყულოშვილების ერთ-ერთ პატარას გასაღები „იავნანას“ შვილობილმა დიტო რაზმაძემ გადასცა.

კონცერტის წარმატებულ მსვლელობაზე და მაყურებლის გულწრფელ ემოციებზე ამჯერად არაფერს ვიტყვით. კონცერტი-მარათონი ტელეკომპანია „მზის“ და „I სტერეოს“ ეთერით, აგრეთვე საქართველოს რადიოთი გადაიცემოდა. დავსძენთ მხოლოდ იმას, რომ „იავნანას“ სამეგობრო კიდევ უფრო გაიზარდა და რამდენიმე სოლიდური ორგანიზაციით და ცნობილი პიროვნებებით შეივსო. მაგალითად, **თემურ ჩხეიძე და ნანი ჩიქვინიძე,** საგამომცემლო სახლი „პალიტრა“ და მისი მთავარი გამოცემა, ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“.

კონცერტის ბოლოს პაატა ბურჭულაძემ „ოქროს რაშით“ დააჯილდოვა „იავნანას“ ძველი და ახალი მეგობრები – **ჭაბუა ამირეჯიბი, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე,** კონცერტის იტალიელი სოლისტები მარკო ბერტი და პიერო ჯულიაჩი.

სამადლობელ სიტყვაში პაატა ბურჭულაძემ ასეთი ფრაზა თქვა: **„გავუფრთხილდეთ ერთმანეთს... ჩვენ ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ძალიან ვჭირდებით!“**

ამით ყველაფერია ნათქვამი.

მორიგ საქველმოქმედო მარათონამდე, ბატონო პაატა! თქვენი კაცობის და სიკეთის მადლი ნუ მოუშლოდეს საქართველოს!

**სპარტაკ ქოზულია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

მილოცვა



**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს საიუბილეო თარიღს ჩვენი პრეზიდიუმის წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს, მსოფლიოში აღიარებულ ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დახვეწილ ინტელიგენტსა და კეთილშობილებით გამორჩეულ პიროვნებას, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი

დღის კალენდარი

24 ოქტომბერი

**მე-20 შვიდეული სულთმოფენობიდან. შაბათი.**

**ხსენება მოციქულ ფილიპესი, ერთისა შვიდთა დიაკონთაგანისა (Iძ; ღირსი თეოფანე აღმსარებლისა, კანონთმძღლისა, ნიკეის ეპისკოპოსისა (დაახლ. 850ძ. მოწამეთა ზინაიდასი და ფილონილასი (Iძ.**

## დაიბადნენ:

**1632 – ანტონი ვან ლევენჰუკი,** ჰოლანდიელი ბუნებისმეტყველი, მეცნიერული მიკროსკოპიის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1723 წელს.

**1845 – სერგი მესხი,** პუბლიცისტი, ჟურნალისტი. გარდაიცვალა 1883 წელს.

**1893 – ვახტანგ კოტეტიშვილი,** ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე. გარდაიცვალა 1937 წელს.

**1915 – გიორგი ციციშვილი,** ქიმიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**1916 – ეკატერინე ბაღდავაძე,** ცნობილი ფერმწერი. გარდაიცვალა 1975.

**1925 – გიორგი ხუხაშვილი,** მწერალი.

**1941 – ფრიდონ სულაბერიძე,** ქორეოგრაფი.

**1957 – ნინელი ჭანკვეტაძე,** კინოსა და თეატრის მსახიობი.

## მოვლენები:

**1795 წელი** – პოლონეთი მესამედ გაიყვეს ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა.

**1813 წელი** – დაიდო გულისტანის ზავი, რითაც დასრულდა რუსეთ-ირანის 1804-1813 წლების ომი.

**1851 წელი** – ასტრონომმა უილიამ ლასელმა აღმოაჩინა ურანის ორი თანამგზავრი – არიელი და უმბრიელი.

**1855 წელი** – ვენაში ჩატარდა იოჰან შტრაუსის ოპერეტის „ბოშათა ბარონის“ პრემიერა.

**1924 წელი** – პარიზში დაფუძნდა ახალგაზრდა ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ გენერალ ლეო კერესელიძის წინამძღოლობით.

**1938 წელი** – ამერიკაში აკრძალეს ბავშვთა შრომა სამრეწველო ობიექტებზე.

**1945 წელი** – გაერო ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაცია გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე,**
**ზამბია** – დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

ანეკდოტები

ორი ძმაკაცი შეხვდა ერთმანეთს:
– როგორა ხარ?
– ვბერდები.
– საიდან ასეთი პესიმიზმი?
– ქალების შეკითხვებიდან.
– მაინც როგორ?
– ადრე მეკითხებოდნენ, რად არ ქორწინდებიო, ახლა კი – რად არ დაქორწინდიო.

* * *

არ ვამბობ, რომ არ მჭირდება ქალი. მე ქალი სახლში არ მჭირდება.

* * *

დედამიწაზე ყველაზე ბედნიერი მამაკაცი ადამი იყო – სიდედრი არ ჰყოლია. თუმცა არა, იქაც იყო ერთი გველი...



როცა იცი ის, რაც ენციკლოპედიაში წერია, ეს კიდევ არ ნიშნავს, ერუდიციას. ნამდვილი ერუდიციაა ის, როცა იცი ის, რაც ენციკლოპედიაში არ წერია.

* * *

მეურნეობრივ მეურნესა და დიდმეურნეობიან მეურნეს შორის დიდი სხვაობაა.

* * *

– ჩემი ქმარი ძალიან უკულტურო ვინმეა, არასოდეს არ დებს ნივთებს თავის ადგილზე. აი, გუშინ მთელი ერთი საათი ვეძებდი მის საფულეს.

* * *

– დაშა, – ეუბნება ქალიშვილს დედამისი, – ის ახალგაზრდა კაცი, დღეს რომ დაგირეკა, შენი ახალი ნაცნობია?
– შენც იტყვი რა... სადაური ნაცნობია! ჩვენ ხომ სულ ორჯერ ვიწექით ერთად!

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.